პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 14 მარტი, 1946 წელი

სპეციალური გამოშვება

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინტერვიუ „პრავდის“ კორესპონდენტთან ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის გამო

ამ დღეებში „პრავდის“ ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ამხანაგ სტალინს მიმართა თხოვნით განემარტა ბ-ნ ჩერჩილის სიტყვასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. ამხანაგმა სტალინმა მას მისცა სათანადო განმარტებანი, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ კორესპონდენტის კითხვებზე პასუხის სახით.

კითხვა. რა შეფასებას აძლევთ თქვენ ბ-ნ ჩერჩილის უკანასკნელ სიტყვას, რომელიც მან ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოსთქვა?

პასუხი. მე იგი მიმაჩნია საშიშ აქტად, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის უთანხმოების თესლი დასთესოს და გააძნელოს მათი თანამშრომლობა.

კითხვა. შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ბ-ნ ჩერჩილის სიტყვა ზიანს აყენებს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს?

პასუხი. უეჭველად შეიძლება. არსებითად ბ-ნი ჩერჩილი ახლა ომის გამჩაღებელთა პოზიციაზე დგას. და ბ-ნი ჩერჩილი აქ მარტო როდია, — მას მეგობრები ჰყავს არა მარტო ინგლისში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები ამ მხრივ გასაოცრად მოგვაგონებენ ჰიტლერსა და მის მეგობრებს. ჰიტლერმა ომის გაჩაღების საქმე იმით დაიწყო, რომ გამოაცხადა რასობრივი თეორია, გამოაცხადა, რომ მხოლოდ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები წარმოადგენენ სრულფასოვან ერს. ბ-ნი ჩერჩილიც ომის გაჩაღების საქმეს რასობრივი თეორიით იწყებს, ამტკიცებს რა რომ მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერები წარმოადგენენ სრულფასოვან ერებს, რომლებიც მოწოდებული არიან გადასწყვიტონ მთელი მსოფლიოს ბედი. გერმანულმა რასობრივმა თეორიამ ჰიტლერი და მისი მეგობრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გერმანელებმა, როგორც ერთადერთმა სრულფასოვანმა ერმა, უნდა იბატონონ სხვა ერებზე. ინგლისურ რასობრივ თეორიას ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერებმა, როგორც ერთადერთმა სრულფასოვანმა ერებმა, უნდა იბატონონ მსოფლიოს დანარჩენ ერებზე.

არსებითად ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ერებს, რომელნიც ინგლისურ ენაზე არ ლაპარაკობენ, უდგენენ ულტიმატუმის მსგავს რამეს: ნებაყოფლობით აღიარეთ ჩვენი ბატონობა და მაშინ ყველაფერი წესრიგზე იქნება, — წინააღმდეგ შემთხვევაში ომი გარდუვალიაო.

მაგრამ ერები სასტიკი ომის ხუთი წლის განმავლობაში სისხლს ღვრიდნენ თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და არა იმისათვის, რომ ჰიტლერების ბატონობა ჩერჩილების ბატონობით შეეცვალათ. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ერები, რომელნიც ინგლისურ ენაზე არ ლაპარაკობენ და ამასთანავე მსოფლიოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ, არ დათანხმდებიან ახალ მონობას.

ბ-ნ ჩერჩილის ტრაგედია ის არის, რომ, მას, როგორც პირწავარდნილ ტორის, არ ესმის ეს უბრალო და აშკარა ჭეშმარიტება.

უეჭველია, რომ ბ-ნ ჩერჩილის გეზი არის გეზი ომისაკენ, მოწოდება სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ. ისიც ცხადია, რომ ბ-ნ ჩერჩილის ასეთი გეზი შეუთავსებელია ინგლისსა და სსრ კავშირს შორის არსებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებებთან. მართალია ბ-ნი ჩერჩილი იმისათვის, რომ დააბნიოს მკითხველები, გაკვრით აცხადებს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ვადა სავსებით შეიძლებოდა განგრძობილიყო 50 წლამდეო. მაგრამ როგორ შევუთავსოთ ბ-ნ ჩერჩილის ასეთი განცხადება სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ მის გეზს, სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მის ქადაგებას? ცხადია, რომ ამ ორი რამის შეთავსება არასგზით არ შეიძლება. და თუ ბ-ნ ჩერჩილს, რომელიც მოუწოდებს ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამასთანავე შესაძლებლად მიაჩნია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ვადის განგრძობა 50 წლამდე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამ ხელშეკრულებას სთვლის ფარატინა ქაღალდად, რომელიც მას მხოლოდ იმისათვის ესაჭიროება, რომ მით დაფაროს და შენიღბოს თავისი ანტისაბჭოთა გეზი. ამიტომ შეუძლებელია სერიოზულად მოვეკიდოთ ბ-ნ ჩერჩილის ინგლისელი მეგობრების ყალბ განცხადებებს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ხელშეკრულების ვადის 50 და მეტ წლამდე განგრძობის შესახებ. ხელშეკრულების ვადის განგრძობას აზრი არა აქვს, თუ ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულებას არღვევს და მას ფარატინა ქაღალდად აქცევს.

კითხვა. რა შეფასებას აძლევთ თქვენ ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც იგი თავს ესხმის ჩვენს მეზობელ ევროპის სახელმწიფოთა დემოკრატიულ წყობილებას და სადაც იგი აკრიტიკებს ამ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას?

პასუხი. ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის ეს ნაწილი წარმოადგენს ცილისწამების ელემენტების და უხეშობისა და უტაქტობის ელემენტების ნარევს.

ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია — ყველა ეს განთქმული ქალაქი და მათი რაიონების მოსახლეობა საბჭოთა სფეროში იმყოფება და ყველანი ამა თუ იმ ფორმით ემორჩილებიან არა მარტო საბჭოთა გავლენას, არამედ მნიშვნელოვანწილად მოსკოვის მზარდ კონტროლსაც“. ბ-ნი ჩერჩილი ყოველივე ამას უწოდებს საბჭოთა კავშირის „ექსპანსიონისტურ ტენდენციებს“, რომელთაც საზღვარი არა აქვთ.

დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს დავამტკიცოთ, რომ აქ ბ-ნი ჩერჩილი უხეშად და მოურიდებლად სწამებს ცილს როგორც მოსკოვს, ისე სსრ კავშირის მეზობელ დასახელებულ სახელმწიფოებს.

ჯერ-ერთი, სრული უაზრობაა ლაპარაკი სსრ კავშირის განსაკუთრებულ კონტროლზე ვენასა და ბერლინში, სადაც იმყოფებიან მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოები ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან და სადაც სსრ კავშირს ხმების მხოლოდ მეოთხედი ნაწილი აქვს. არის ხოლმე, რომ ზოგიერთ ადამიანს არ შეუძლია არ ეწეოდეს ცილისწამებას, მაგრამ ზომა მაინც უნდა იცოდეს.

მეორე, არ შეიძლება დავიწყებულ იქნას შემდეგი გარემოება. გერმანელები სსრ კავშირში შემოიჭრნენ ფინეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის გზით. გერმანელებს ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოჭრა შეეძლოთ მოეხდინათ იმიტომ, რომ ამ ქვეყნებში მაშინ საბჭოთა კავშირისადმი მტრული მთავრობები არსებობდნენ. გერმანელების შემოჭრის შედეგად საბჭოთა კავშირმა გერმანელებთან ბრძოლებში, აგრეთვე გერმანული ოკუპაციისა და გერმანულ კატორღაში საბჭოთა ადამიანების გარეკვის მეოხებით აუნაზღაურებლად დაჰკარგა შვიდ მილიონამდე კაცი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირმა ადამიანების სახით დაჰკარგა რამდენჯერმე მეტი, ვიდრე დაჰკარგეს ერთად აღებულმა ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. შესაძლებელია ზოგან სურდეთ დავიწყებას მისცენ საბჭოთა ხალხის ეს კოლოსალური მსხვერპლი, რამაც უზრუნველჰყო ევროპის განთავისუფლება ჰიტლერული უღლისაგან. მაგრამ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია დაივიწყოს ეს მსხვერპლი. საკითხავია, რა უნდა იყოს გასაკვირველი იმაში, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც სურს უშიშარჰყოს თავისი თავი მომავლისათვის, ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ამ ქვეყნებში არსებობდნენ მთავრობები, რომლებიც ლოიალურად მოეკიდებიან საბჭოთა კავშირს? როგორ შეიძლება, თუ კაცი ჭკუაზე არ შეშლილა, საბჭოთა კავშირის ამ მშვიდობიან მისწრაფებებს უწოდოს ჩვენი სახელმწიფოს ექსპანსიონისტური ტენდენციები?

შემდეგ ბ-ნ ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „პოლონეთის მთავრობას, რომელიც რუსთა ბატონობის ქვეშ იმყოფება, აქეზებდნენ გერმანიისადმი უდიდეს და უსამართლო ხელყოფისაკენ“.

აქ ყოველი სიტყვა ტლანქი და შეურაცხმყოფელი ცილისწამებაა. თანამედროვე დემოკრატიულ პოლონეთს გამოჩენილი ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ დაიცვან თავიანთი სამშობლოს ინტერესები და ღირსება, რა უნარიც მათ წინამოადგილეებს არ გააჩნდათ. რა საფუძველი აქვს ბ-ნ ჩერჩილს ამტკიცებდეს, რომ თანამედროვე პოლონეთის ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაუშვან თავიანთ ქვეყანაში რომელიმე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთა „ბატონობა“? იმიტომ ხომ არ ეწევა აქ ცილისწამებას ბ-ნი ჩერჩილი „რუსების“ წინააღმდეგ, რომ განზრახვა აქვს უთანხმოების თესლი დასთესოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში?...

ბ-ნი ჩერჩილი უკმაყოფილოა, რომ პოლონეთმა თავისი პოლიტიკა მოაბრუნა სსრ კავშირთან მეგობრობისა და მოკავშირეობისაკენ. იყო დრო, როცა პოლონეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში სჭარბობდნენ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა ელემენტები. ეს გარემოება ბ-ნ ჩერჩილის მსგავს სახელმწიფო მოღვაწეებს შესაძლებლობას აძლევდა გამოეყენებინათ ეს წინააღმდეგობანი, ხელში ჩაეგდოთ პოლონეთი, ვითომდა რუსებისაგან დასაცავად, დაეშინებინათ რუსეთი მასსა და პოლონეთს შორის ომის აჩრდილით და შეენარჩუნებინათ არბიტრის პოზიცია. მაგრამ ეს დრო უკვე წავიდა, რადგან პოლონეთსა და რუსეთს შორის მტრობამ ადგილი დაუთმო მათ შორის მეგობრობას, ხოლო პოლონეთს, თანამედროვე დემოკრატიულ პოლონეთს, აღარ სურს სათამაშო ბურთი იყოს უცხოელთა ხელში. მე მგონია, რომ სწორედ ამ გარემოებით არის გაჯავრებული ბ-ნი ჩერჩილი და ამით არის გამოწვეული მისი უხეში და უტაქტო გალაშქრება პოლონეთის წინააღმდეგ. ხუმრობა ხომ არ არის: მას არ აძლევენ საშუალებას, რომ სხვის ხარჯზე ითამაშოს...

რაც შეეხება ბ-ნ ჩერჩილის თავდასხმებს საბჭოთა კავშირზე, წინათ გერმანელების მიერ დაპყრობილი პოლონური ტერიტორიების ხარჯზე პოლონეთის დასავლეთი საზღვრების გაფართოებასთან დაკავშირებით, აქ, მე ვფიქრობ, იგი აშკარად თაღლითობს. როგორც ცნობილია, გადაწყვეტილება პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციამ მიიღო პოლონეთის მოთხოვნათა საფუძველზე. საბჭოთა კავშირს არაერთგზის განუცხადებია, რომ მას პოლონეთის მოთხოვნები სწორად და სამართლიანად მიაჩნია. სავსებით შესაძლებელია, რომ ბ-ნი ჩერჩილი უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით. მაგრამ ბ-ნი ჩერჩილი, რომელიც ისრებს არ იშურებს რუსების პოზიციის წინააღმდეგ ამ საკითხში, რატომ უმალავს მკითხველებს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილება ბერლინის კონფერენციამ მიიღო ერთხმად, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცეს არა მარტო რუსებმა, არამედ აგრეთვე ინგლისელებმა და ამერიკელებმა? რად დასჭირდა ბ-ნ ჩერჩილს ადამიანების შეცდომაში შეყვანა?

შემდეგ ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „კომუნისტურმა პარტიებმა, რომლებიც ფრიად უმნიშვნელონი იყვნენ ევროპის ყველა ამ აღმოსავლეთ სახელმწიფოში, მიაღწიეს განსაკუთრებულ ძალას, რაც ბევრად აღემატება მათს რიცხვს, და ისწრაფვიან ყველგან დაამყარონ ტოტალიტარული კონტროლი. პოლიციური მთავრობები სჭარბობენ თითქმის ყველა ამ ქვეყანაში და დღემდე, გარდა ჩეხოსლოვაკიისა, იქ არ არსებობს არავითარი ნამდვილი დემოკრატია“.

როგორც ცნობილია, ამჟამად ინგლისში სახელმწიფოს მართავს ერთი პარტია, ლეიბორისტების პარტია, ამასთან ოპოზიციური პარტიები მოკლებული არიან უფლებას მონაწილეობა მიიღონ ინგლისის მთავრობაში. ამას ბ-ნი ჩერჩილი ნამდვილ დემოკრატიზმს უწოდებს. პოლონეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, უნგრეთში მართავს რამდენიმე პარტიის — ოთხიდან ექვსამდე პარტიის—ბლოკი. ამასთან ოპოზიციისათვის, თუ იგი ცოტათუბევრად ლოიალურია, უზრუნველყოფილია მთავრობაში მონაწილეობის უფლება. ამას ბ-ნი ჩერჩილი უწოდებს ტოტალიტარიზმს, ტირანიას, პოლიციურობას. რატომ, რა საფუძვლით,—პასუხს ბ-ნ ჩერჩილისაგან ნუ ელით. ბ-ნ ჩერჩილს არ ესმის, რა სასაცილო მდგომარეობაში იყენებს თავს მყვირალა სიტყვებით ტოტალიტარიზმის, ტირანიის, პოლიციურობის შესახებ. ბ-ნ ჩერჩილისათვის სასურველი იქნებოდა, რომ პოლონეთს მართავდნენ სოსნკოვსკი და ანდერსი, იუგოსლავიას—მიხაილოვიჩი და პაველიჩი, რუმინეთს—თავადი შტირბეი და რადესკუ, უნგრეთსა და ავსტრიას—რომელიმე მეფე ჰაბსბურგების სახლიდან და სხვ. ბ-ნ ჩერჩილს სურს დაგვარწმუნოს, რომ ფაშისტური ბანაკის ამ ვაჟბატონებს შეუძლიათ უზრუნველჰყონ „ნამდვილი დემოკრატიზმი“. ასეთია ბ-ნ ჩერჩილის „დემოკრატიზმი“.

ბ-ნი ჩერჩილი სიმართლის ახლოს დაბორიალობს, როცა ლაპარაკობს აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდაზე. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი სავსებით ზუსტი როდია. კომუნისტური პარტიების გავლენა გაიზარდა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც წინათ ბატონობდა ფაშიზმი (იტალია, გერმანია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ფინეთი), ანდა სადაც იყო გერმანული, იტალიური თუ უნგრული ოკუპაცია (საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია, დანია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, საბერძნეთი, საბჭოთა კავშირი და სხვ.).

კომუნისტების გავლენის ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითობად. იგი სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. კომუნისტების გავლენა გაიზარდა იმიტომ, რომ ევროპაში ფაშიზმის ბატონობის მძიმე წლებში კომუნისტები აღმოჩნდნენ საიმედო, გამბედავი, თავდადებული მებრძოლები ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ხალხების თავისუფლებისათვის. ბ-ნი ჩერჩილი ზოგჯერ თავის სიტყვებში იხსენიებს „პატარა სახლების უბრალო ადამიანებს“, ბატონკაცურად დაჰკრავს ხოლმე ხელს მხარზე და თავი მოაქვს მათ მეგობრად. მაგრამ ეს ადამიანები არც თუ ისე უბრალონი არიან, როგორც შეიძლება ეგონოთ ერთი შეხედვით. მათ, „უბრალო ადამიანებს“, აქვთ თავიანთი შეხედულებანი, თავიანთი პოლიტიკა და მათ იციან თავიანთი თავის დაცვა. სწორედ მათ, ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“ გააშავეს ინგლისში ბ-ნი ჩერჩილი და მისი პარტია, როცა ხმა მისცეს ლეიბორისტებს. სწორედ ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“ გარიყეს ევროპაში რეაქციონერები, ფაშიზმთან თანამშრომლობის მომხრენი და უპირატესობა მისცეს მემარცხენე დემოკრატიულ პარტიებს. სწორედ ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“, კომუნისტები გამოსცადეს რა ფაშიზმთან ბრძოლისა და მისდამი წინააღმდეგობის ცეცხლში, გადასწყვიტეს, რომ კომუნისტები სავსებით ღირსნი არიან ხალხის ნდობისა. ასე გაიზარდა კომუნისტების გავლენა ევროპაში. ასეთია ისტორიული განვითარების კანონი.

რა თქმა უნდა, ბ-ნ ჩერჩილს არ მოსწონს მოვლენათა ასეთი განვითარება და იგი განგაშს სტეხს, ძალას მიმართავს. მაგრამ მას არ მოსწონდა აგრეთვე საბჭოთა რეჟიმის გაჩენა რუსეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. იგი ასევე სტეხდა განგაშს მაშინ და მოაწყო „14 სახელმწიფოს“ სამხედრო ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, როცა მიზნად დაისახა უკუღმა დაეტრიალებინა ისტორიის ჩარხი. მაგრამ ისტორია ჩერჩილის ინტერვენციაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ბ-ნ ჩერჩილის დონკიხოტურმა საქციელმა ის გამოიწვია, რომ იგი მაშინ სავსებით დამარცხდა. მე არ ვიცი, მოახერხებენ თუ არა ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოაწყონ ახალი სამხედრო ლაშქრობა „აღმოსავლეთ ევროპის“ წინააღმდეგ. მაგრამ თუ მათ ეს მოახერხეს,—რაც ნაკლებ დასაჯერებელია, რადგან მილიონობით „უბრალო ადამიანები“ მშვიდობიანობის საქმის სადარაჯოზე დგანან,—დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისევე დამარცხდებიან, როგორც დამარცხდნენ წარსულში, 26 წლის წინათ.

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 50,000, შეკვეთა № 372, უე 00035

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 15 მარტი, 1946 წ. № 54 (7527). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინტერვიუ „პრავდის“ კორესპონდენტთან ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის გამო (1-ლი გვერდი)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია: საინფორმაციო ცნობები ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს 1946 წლის 14 მარტის სხდომების შესახებ; ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ამხ. პ. ა. შარიას მოხსენება (1-ლი და მე-2 გვერდი)

მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წელს აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლისათვის (მე-3 გვერდი)

ა. კვარაცხელია — ვიბრძოლოთ ახალი წარმატებებისათვის (მე-3 გვერდი)

დიმიტრი ფურმანოვი (მე-3 გვერდი)

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი)

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინტერვიუ „პრავდის“ კორესპონდენტთან ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის გამო

ამ დღეებში „პრავდის“ ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ამხანაგ სტალინს მიმართა თხოვნით განემარტა ბ-ნ ჩერჩილის სიტყვასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. ამხანაგმა სტალინმა მას მისცა სათანადო განმარტებანი, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ კორესპონდენტის კითხვებზე პასუხის სახით.

**კითხვა.** რა შეფასებას აძლევთ თქვენ ბ-ნ ჩერჩილის უკანასკნელ სიტყვას, რომელიც მან ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოსთქვა?

**პასუხი.** მე იგი მიმაჩნია საშიშ აქტად, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის უთანხმოების თესლი დასთესოს და გააძნელოს მათი თანამშრომლობა.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ბ-ნ ჩერჩილის სიტყვა ზიანს აყენებს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს?

**პასუხი.** უეჭველად შეიძლება. არსებითად ბ-ნი ჩერჩილი ახლა ომის გამჩაღებელთა პოზიციაზე დგას. და ბ-ნი ჩერჩილი აქ მარტო როდია, — მას მეგობრები ჰყავს არა მარტო ინგლისში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები ამ მხრივ გასაოცრად მოგვაგონებენ ჰიტლერსა და მის მეგობრებს. ჰიტლერმა ომის გაჩაღების საქმე იმით დაიწყო, რომ გამოაცხადა რასობრივი თეორია, გამოაცხადა, რომ მხოლოდ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები წარმოადგენენ სრულფასოვან ერს. ბ-ნი ჩერჩილიც ომის გაჩაღების საქმეს რასობრივი თეორიით იწყებს, ამტკიცებს რა, რომ მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერები წარმოადგენენ სრულფასოვან ერებს, რომლებიც მოწოდებული არიან გადასწყვიტონ მთელი მსოფლიოს ბედი. გერმანულმა რასობრივმა თეორიამ ჰიტლერი და მისი მეგობრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გერმანელებმა, როგორც ერთადერთმა სრულფასოვანმა ერმა, უნდა იბატონონ სხვა ერებზე. ინგლისურ რასობრივ თეორიას ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერებმა, როგორც ერთადერთმა სრულფასოვანმა ერებმა, უნდა იბატონონ მსოფლიოს დანარჩენ ერებზე.

არსებითად ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ერებს, რომელნიც ინგლისურ ენაზე არ ლაპარაკობენ, უდგენენ ულტიმატუმის მსგავს რამეს: ნებაყოფლობით აღიარეთ ჩვენი ბატონობა და მაშინ ყველაფერი წესრიგზე იქნება, — წინააღმდეგ შემთხვევაში ომი გარდუვალიაო.

მაგრამ ერები სასტიკი ომის ხუთი წლის განმავლობაში სისხლს ღვრიდნენ თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და არა იმისათვის, რომ ჰიტლერების ბატონობა ჩერჩილების ბატონობით შეეცვალათ. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ერები, რომელნიც ინგლისურ ენაზე არ ლაპარაკობენ და ამასთანავე მსოფლიოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ, არ დათანხმდებიან ახალ მონობას.

ბ-ნ ჩერჩილის ტრაგედია ის არის, რომ მას, როგორც პირწავარდნილ ტორის, არ ესმის ეს უბრალო და აშკარა ჭეშმარიტება.

უეჭველია, რომ ბ-ნ ჩერჩილის გეზი არის გეზი ომისაკენ, მოწოდება სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ. ისიც ცხადია, რომ ბ-ნ ჩერჩილის ასეთი გეზი შეუთავსებელია ინგლისსა და სსრ კავშირს შორის არსებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებებთან. მართალია ბ-ნი ჩერჩილი იმისათვის, რომ დააბნიოს მკითხველები, გაკვრით აცხადებს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ვადა სავსებით შეიძლებოდა განგრძობილიყო 50 წლამდეო. მაგრამ როგორ შევუთავსოთ ბ-ნ ჩერჩილის ასეთი განცხადება სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ მის გეზს, სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მის ქადაგებას? ცხადია, რომ ამ ორი რამის შეთავსება არასგზით არ შეიძლება. და თუ ბ-ნ ჩერჩილს, რომელიც მოუწოდებს ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამასთანავე შესაძლებლად მიაჩნია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ვადის განგრძობა 50 წლამდე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამ ხელშეკრულებას სთვლის ფარატინა ქაღალდად, რომელიც მას მხოლოდ იმისათვის ესაჭიროება, რომ მით დაფაროს და შენიღბოს თავისი ანტისაბჭოთა გეზი. ამიტომ შეუძლებელია სერიოზულად მოვეკიდოთ ბ-ნ ჩერჩილის ინგლისელი მეგობრების ყალბ განცხადებებს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ხელშეკრულების ვადის 50 და მეტ წლამდე განგრძობის შესახებ. ხელშეკრულების ვადის განგრძობას აზრი არა აქვს, თუ ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულებას არღვევს და მას ფარატინა ქაღალდად აქცევს.

**კითხვა.** რა შეფასებას აძლევთ თქვენ ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც იგი თავს ესხმის ჩვენს მეზობელ ევროპის სახელმწიფოთა დემოკრატიულ წყობილებას და სადაც იგი აკრიტიკებს ამ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას?

**პასუხი.** ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის ეს ნაწილი წარმოადგენს ცილისწამების ელემენტების და უხეშობისა და უტაქტობის ელემენტების ნარევს.

ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია — ყველა ეს განთქმული ქალაქი და მათი რაიონების მოსახლეობა საბჭოთა სფეროში იმყოფება და ყველანი ამა თუ იმ ფორმით ემორჩილებიან არა მარტო საბჭოთა გავლენას, არამედ მნიშვნელოვანწილად მოსკოვის მზარდ კონტროლსაც“. ბ-ნი ჩერჩილი ყოველივე ამას უწოდებს საბჭოთა კავშირის „ექსპანსიონისტურ ტენდენციებს“, რომელთაც საზღვარი არა აქვთ.

დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს დავამტკიცოთ, რომ აქ ბ-ნი ჩერჩილი უხეშად და მოურიდებლად სწამებს ცილს როგორც მოსკოვს, ისე სსრ კავშირის მეზობელ დასახელებულ სახელმწიფოებს.

ჯერ-ერთი, სრული უაზრობაა ლაპარაკი სსრ კავშირის განსაკუთრებულ კონტროლზე ვენასა და ბერლინში, სადაც იმყოფებიან მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოები ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან და სადაც სსრ კავშირს ხმების მხოლოდ მეოთხედი ნაწილი აქვს. არის ხოლმე, რომ ზოგიერთ ადამიანს არ შეუძლია არ ეწეოდეს ცილისწამებას, მაგრამ ზომა მაინც უნდა იცოდეს.

მეორე, არ შეიძლება დავიწყებულ იქნას შემდეგი გარემოება. გერმანელები სსრ კავშირში შემოიჭრნენ ფინეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის გზით. გერმანელებს ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოჭრა შეეძლოთ მოეხდინათ იმიტომ, რომ ამ ქვეყნებში მაშინ საბჭოთა კავშირისადმი მტრული მთავრობები არსებობდნენ. გერმანელების შემოჭრის შედეგად საბჭოთა კავშირმა გერმანელებთან ბრძოლებში, აგრეთვე გერმანული ოკუპაციისა და გერმანულ კატორღაში საბჭოთა ადამიანების გარეკვის მეოხებით აუნაზღაურებლად დაჰკარგა შვიდ მილიონამდე კაცი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირმა ადამიანების სახით დაჰკარგა რამდენჯერმე მეტი, ვიდრე დაჰკარგეს ერთად აღებულმა ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. შესაძლებელია ზოგან სურდეთ დავიწყებას მისცენ საბჭოთა ხალხის ეს კოლოსალური მსხვერპლი, რამაც უზრუნველჰყო ევროპის განთავისუფლება ჰიტლერული უღლისაგან. მაგრამ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია დაივიწყოს ეს მსხვერპლი. საკითხავია, რა უნდა იყოს გასაკვირველი იმაში, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც სურს უშიშარჰყოს თავისი თავი მომავლისათვის, ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ამ ქვეყნებში არსებობდნენ მთავრობები, რომლებიც ლოიალურად მოეკიდებიან საბჭოთა კავშირს? როგორ შეიძლება, თუ კაცი ჭკუაზე არ შეშლილა, საბჭოთა კავშირის ამ მშვიდობიან მისწრაფებებს უწოდოს ჩვენი სახელმწიფოს ექსპანსიონისტური ტენდენციები?

შემდეგ ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „პოლონეთის მთავრობას, რომელიც რუსთა ბატონობის ქვეშ იმყოფება, აქეზებდნენ გერმანიისადმი უდიდეს და უსამართლო ხელყოფისაკენ“.

აქ ყოველი სიტყვა ტლანქი და შეურაცხმყოფელი ცილისწამებაა. თანამედროვე დემოკრატიულ პოლონეთს გამოჩენილი ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ დაიცვან თავიანთი სამშობლოს ინტერესები და ღირსება. რა უნარიც მათ წინამოადგილეებს არ გააჩნდათ. რა საფუძველი აქვს ბ-ნ ჩერჩილს ამტკიცებდეს, რომ თანამედროვე პოლონეთის ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაუშვან თავიანთ ქვეყანაში რომელიმე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთა „ბატონობა“? იმიტომ ხომ არ ეწევა აქ ცილისწამებას ბ-ნი ჩერჩილი „რუსების“ წინააღმდეგ, რომ განზრახვა აქვს უთანხმოების თესლი დასთესოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში?...

ბ-ნი ჩერჩილი უკმაყოფილოა, რომ პოლონეთმა თავისი პოლიტიკა მოაბრუნა სსრ კავშირთან მეგობრობისა და მოკავშირეობისაკენ. იყო დრო, როცა პოლონეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში სჭარბობდნენ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა ელემენტები. ეს გარემოება ბ-ნ ჩერჩილის მსგავს სახელმწიფო მოღვაწეებს შესაძლებლობას აძლევდა გამოეყენებინათ ეს წინააღმდეგობანი, ხელში ჩაეგდოთ პოლონეთი, ვითომდა რუსებისაგან დასაცავად, დაეშინებინათ რუსეთი მასსა და პოლონეთს შორის ომის აჩრდილით და შეენარჩუნებინათ არბიტრის პოზიცია. მაგრამ ეს დრო უკვე წავიდა, რადგან პოლონეთსა და რუსეთს შორის მტრობამ ადგილი დაუთმო მათ შორის მეგობრობას, ხოლო პოლონეთს, თანამედროვე დემოკრატიულ პოლონეთს, აღარ სურს სათამაშო ბურთი იყოს უცხოელთა ხელში. მე მგონია, რომ სწორედ ამ გარემოებით არის გაჯავრებული ბ-ნი ჩერჩილი და ამით არის გამოწვეული მისი უხეში და უტაქტო გალაშქრება პოლონეთის წინააღმდეგ. ხუმრობა ხომ არ არის: მას არ აძლევენ საშუალებას, რომ სხვის ხარჯზე ითამაშოს...

რაც შეეხება ბ-ნ ჩერჩილის თავდასხმებს საბჭოთა კავშირზე, წინათ გერმანელების მიერ დაპყრობილი პოლონური ტერიტორიების ხარჯზე პოლონეთის დასავლეთი საზღვრების გაფართოებასთან დაკავშირებით, აქ, მე ვფიქრობ, იგი აშკარად თაღლითობს. როგორც ცნობილია, გადაწყვეტილება პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციამ მიიღო პოლონეთის მოთხოვნათა საფუძველზე. საბჭოთა კავშირს არაერთგზის განუცხადებია, რომ მას პოლონეთის მოთხოვნები სწორად და სამართლიანად მიაჩნია. სავსებით შესაძლებელია, რომ ბ-ნი ჩერჩილი უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით. მაგრამ ბ-ნი ჩერჩილი, რომელიც ისრებს არ იშურებს რუსების პოზიციის წინააღმდეგ ამ საკითხში, რატომ უმალავს მკითხველებს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილება ბერლინის კონფერენციამ მიიღო ერთხმად, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცეს არა მარტო რუსებმა, არამედ აგრეთვე ინგლისელებმა და ამერიკელებმა? რად დასჭირდა ბ-ნ ჩერჩილს ადამიანების შეცდომაში შეყვანა?

შემდეგ ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „კომუნისტურმა პარტიებმა, რომლებიც ფრიად უმნიშვნელონი იყვნენ ევროპის ყველა ამ აღმოსავლეთ სახელმწიფოში, მიაღწიეს განსაკუთრებულ ძალას, რაც ბევრად აღემატება მათს რიცხვს, და ისწრაფვიან ყველგან დაამყარონ ტოტალიტარული კონტროლი. პოლიციური მთავრობები სჭარბობენ თითქმის ყველა ამ ქვეყანაში და დღემდე, გარდა ჩეხოსლოვაკიისა, იქ არ არსებობს არავითარი ნამდვილი დემოკრატია“.

როგორც ცნობილია, ამჟამად ინგლისში სახელმწიფოს მართავს ერთი პარტია, ლეიბორისტების პარტია, ამასთან ოპოზიციური პარტიები მოკლებული არიან უფლებას მონაწილეობა მიიღონ ინგლისის მთავრობაში. ამას ბ-ნი ჩერჩილი ნამდვილ დემოკრატიზმს უწოდებს. პოლონეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, უნგრეთში მართავს რამდენიმე პარტიის — ოთხიდან ექვსამდე პარტიის — ბლოკი. ამასთან ოპოზიციისათვის, თუ იგი ცოტად თუ ბევრად ლოიალურია, უზრუნველყოფილია მთავრობაში მონაწილეობის უფლება. ამას ბ-ნი ჩერჩილი უწოდებს ტოტალიტარიზმს, ტირანიას, პოლიციურობას. რატომ, რა საფუძვლით, — პასუხს ბ-ნ ჩერჩილისაგან ნუ ელით. ბ-ნ ჩერჩილს არ ესმის, რა სასაცილო მდგომარეობაში იყენებს თავს მყვირალა სიტყვებით ტოტალიტარიზმის, ტირანიის, პოლიციურობის შესახებ. ბ-ნ ჩერჩილისათვის სასურველი იქნებოდა, რომ პოლონეთს მართავდნენ სოსნკოვსკი და ანდერსი, იუგოსლავიას — მიხაილოვიჩი და პაველიჩი, რუმინეთს — თავადი შტირბეი და რადესკუ, უნგრეთსა და ავსტრიას — რომელიმე მეფე ჰაბსბურგების სახლიდან და სხვ. ბ-ნ ჩერჩილს სურს დაგვარწმუნოს, რომ ფაშისტური ბანაკის ამ ვაჟბატონებს შეუძლიათ უზრუნველჰყონ „ნამდვილი დემოკრატიზმი“. ასეთია ბ-ნ ჩერჩილის „დემოკრატიზმი“.

ბ-ნი ჩერჩილი სიმართლის ახლოს დაბორიალობს, როცა ლაპარაკობს აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდაზე. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი სავსებით ზუსტი როდია. კომუნისტური პარტიების გავლენა გაიზარდა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც წინათ ბატონობდა ფაშიზმი (იტალია, გერმანია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ფინეთი), ანდა სადაც იყო გერმანული, იტალიური თუ უნგრული ოკუპაცია (საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია, დანია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, საბერძნეთი, საბჭოთა კავშირი და სხვ.).

კომუნისტების გავლენის ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითობად. იგი სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. კომუნისტების გავლენა გაიზარდა იმიტომ, რომ ევროპაში ფაშიზმის ბატონობის მძიმე წლებში კომუნისტები აღმოჩნდნენ საიმედო, გამბედავი, თავდადებული მებრძოლები ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ხალხების თავისუფლებისათვის. ბ-ნი ჩერჩილი ზოგჯერ თავის სიტყვებში იხსენიებს „პატარა სახლების უბრალო ადამიანებს“, ბატონკაცურად დაჰკრავს ხოლმე ხელს მათ მხარზე და თავი მოაქვს მათ მეგობრად. მაგრამ ეს ადამიანები არც თუ ისე უბრალონი არიან, როგორც შეიძლება ეგონოთ ერთი შეხედვით. მათ, „უბრალო ადამიანებს“, აქვთ თავიანთი შეხედულებანი, თავიანთი პოლიტიკა და მათ იციან თავიანთი თავის დაცვა. სწორედ მათ, ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“ გააშავეს ინგლისში ბ-ნი ჩერჩილი და მისი პარტია, როცა ხმა მისცეს ლეიბორისტებს. სწორედ ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“ გარიყეს ევროპაში რეაქციონერები, ფაშიზმთან თანამშრომლობის მომხრენი და უპირატესობა მისცეს მემარცხენე დემოკრატიულ პარტიებს. სწორედ ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“, კომუნისტები გამოსცადეს რა ფაშიზმთან ბრძოლისა და მისდამი წინააღმდეგობის ცეცხლში, გადასწყვიტეს, რომ კომუნისტები სავსებით ღირსნი არიან ხალხის ნდობისა. ასე გაიზარდა კომუნისტების გავლენა ევროპაში. ასეთია ისტორიული განვითარების კანონი.

რა თქმა უნდა, ბ-ნ ჩერჩილს არ მოსწონს მოვლენათა ასეთი განვითარება და იგი განგაშს სტეხს, ძალას მიმართავს. მაგრამ მას არ მოსწონდა აგრეთვე საბჭოთა რეჟიმის გაჩენა რუსეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. იგი ასევე სტეხდა განგაშს მაშინ და მოაწყო „14 სახელმწიფოს“ სამხედრო ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, როცა მიზნად დაისახა უკუღმა დაეტრიალებინა ისტორიის ჩარხი. მაგრამ ისტორია ჩერჩილის ინტერვენციაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ბ-ნ ჩერჩილის დონკიხოტურმა საქციელმა ის გამოიწვია, რომ იგი მაშინ სავსებით დამარცხდა. მე არ ვიცი, მოახერხებენ თუ არა ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოაწყონ ახალი სამხედრო ლაშქრობა „აღმოსავლეთ ევროპის“ წინააღმდეგ. მაგრამ თუ მათ ეს მოახერხეს, — რაც ნაკლებ დასაჯერებელია, რადგან მილიონობით „უბრალო ადამიანები“ მშვიდობიანობის საქმის სადარაჯოზე დგანან, — დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისევე დამარცხდებიან, როგორც დამარცხდნენ წარსულში, 26 წლის წინათ.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

## საინფორმაციო ცნობა

### ეროვნებათა საბჭოს 1946 წლის 14 მარტის სხდომის შესახებ

14 მარტს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი.

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. ა. შარიას მოხსენება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

ამხ. შარია აქვეყნებს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ 657 საარჩევნო ოლქში:

„შეამოწმა რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შესახებ ცალცალკე თვითეულ დეპუტატზე, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია ადასტურებს:

1. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა 657 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათი სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში კონსტიტუციის ან არჩევნების დებულების დარღვევაზე არც საარჩევნო ოლქებში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ არის.

აღნიშნულის საფუძველზე ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს ეროვნებათა საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტიის“ 1946 წლის 14 თებერვლის № 40-ში“.

ეროვნებათა საბჭომ, დეპუტატ ე. ი. ურალოვას წინადადებით, სამანდატო კომისიის მოხსენების გამო მიიღო შემდეგი დადგენილება:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, ეროვნებათა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა სწორად აღიარების შესახებ, რომლებიც არჩეული არიან ყველა 657 საარჩევნო ოლქში და რეგისტრირებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩაითვალოს დამთავრებულად“.

შემდეგ ეროვნებათა საბჭომ მოისმინა დღის წესრიგის მე-3 პუნქტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა დეპუტატმა ა. ფ. გორკინმა.

დეპუტატ გორკინის მოხსენების გამო ეროვნებათა საბჭო ერთხმად იღებს შემდეგ დადგენილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ, მიღებულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის შემდეგ, და შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი** 77. საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

საგარეო ვაჭრობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო ფლოტისა;
სამდინარო ფლოტისა;
დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა;
ელექტრომრეწველობისა;
შავი მეტალურგიისა;
ფერადი მეტალურგიისა;
ქიმიური მრეწველობისა;
საავიაციო მრეწველობისა;
გემთმშენებელი მრეწველობისა;
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;
შეიარაღებისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
საავტომობილო მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობისა;
დამზადებათა;
მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა;
სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობისა;
ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობისა;
რეზინის მრეწველობისა;
დაზგათმშენებლობისა;
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;
სათბობის საწარმოთა მშენებლობისა;
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა“.

„**მუხლი** 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

შეიარაღებული ძალებისა;
საგარეო საქმეთა;
კვების მრეწველობისა;
თევზის მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
ტექნიკური კულტურებისა“.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სსრ კავშირის იმ მოქალაქეთათვის საასაკო ცენზის შესახებ, რომლებიც აირჩევიან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში“, შეტანილ იქნას შესაბამისი დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი** 135. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას, გარდა შეშლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი 23 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა“.

ამით მთავრდება ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

## საინფორმაციო ცნობა

### კავშირის საბჭოს 1946 წლის 14 მარტის სხდომის შესახებ

14 მარტს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში შესდგა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ჟდანოვი.

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ს. პატოლიჩევის მოხსენება კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

ამხ. პატოლიჩევი აქვეყნებს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ 682 საარჩევნო ოლქში:

„შეამოწმა რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა კავშირის საბჭოს არჩევნების შესახებ ცალცალკე თვითეულ დეპუტატზე, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია ადასტურებს:

1. კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა 682 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათი სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში კონსტიტუციის ან არჩევნების დებულების დარღვევაზე არც საარჩევნო ოლქებში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ არის.

აღნიშნულის საფუძველზე კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს კავშირის საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტიის" 1946 წლის 14 თებერვლის № 40-ში".

კავშირის საბჭომ, დეპუტატ ბ. ნ. ჩერნოუსოვის წინადადებით, სამანდატო კომისიის მოხსენების გამო მიიღო შემდეგი დადგენილება:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, კავშირის საბჭო აღგენს:

1. დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა სწორად აღიარების შესახებ, რომლებიც არჩეული არიან ყველა 682 საარჩევნო ოლქში და რეგისტრირებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩაითვალოს დამთავრებულად".

შემდეგ კავშირის საბჭომ მოისმინა დღის წესრიგის მე-3 პუნქტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა დეპუტატმა ა. ფ. გორკინმა.

დეპუტატ გორკინის მოხსენების გამო კავშირის საბჭო ერთხმად იღებს შემდეგ დადგენილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ, მიღებულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის შემდეგ, შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 77.** საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

საგარეო ვაჭრობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო ფლოტისა;
სამდინარო ფლოტისა;
დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა;
ელექტრომრეწველობისა;
შავი მეტალურგიისა;
ფერადი მეტალურგიისა;
ქიმიური მრეწველობისა;
საავიაციო მრეწველობისა;
გემთმშენებელი მრეწველობისა;
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;
შეიარაღებისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
საავტომობილო მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობისა;
დამზადებათა;
მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა;
სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობისა;
ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობისა;
რეზინის მრეწველობისა;
დაზგათმშენებლობისა;
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;
სათბობის საწარმოთა მშენებლობისა;
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა".

**„მუხლი 78.** საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

შეიარაღებული ძალებისა;
საგარეო საქმეთა;
კვების მრეწველობისა;
თევზის მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
ტექნიკური კულტურებისა".

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სსრ კავშირის იმ მოქალაქეთათვის სასაკო ცენზის შესახებ, რომლებიც აირჩევიან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში", შეტანილ იქნას შესაბამისი დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 135.** დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას, გარდა შეშლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი 23 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა".

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

# ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ამხ. პ. ა. შარიას მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის 50 მუხლის საფუძველზე შეამოწმა ეროვნებათა საბჭოში 1946 წლის 10 თებერვალს არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი და თავის მოხსენებას უდგენს ეროვნებათა საბჭოს სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის შექმნილი იყო 657 საარჩევნო ოლქი, რომლებშიც რეგისტრირებული იყვნენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები. მიმდინარე წლის 10 თებერვალს დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში არჩევნები მოხდა ყველა 657 საარჩევნო ოლქში, და კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ყველა კანდიდატი, რომლებიც ერთსულოვნად წამოაყენეს ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანმა ორგანიზაციებმა, არჩეულ იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად. **(მქუხარე ტაში).**

შეამოწმა რა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა თვითეულ დეპუტატზე ცალცალკე, სამანდატო კომისიამ დაადასტურა, რომ ყველა 657 საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით და არავითარი საჩივარი და განცხადება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნებში კონსტიტუციის ან არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ არც საარჩევნო ოლქებში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ არის. ამის საფუძველზე სამანდატო კომისია სწორად სცნობს ეროვნებათა საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებას, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის თავისი ერთსულოვანი ხმის მიცემით საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ღირსეულად გადაიტანა მტრის მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული მძიმე ომის ყველა განსაცდელი, კვლავ მკაფიოდ ცხადჰყო თავისი ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავისი ურღვევი დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო. **(მქუხარე ტაში).**

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი ნათქვამი იყო:

„მომავალ არჩევნებშიც ბოლშევიკების პარტია გამოდის ერთიანი ბლოკით, უპარტიო მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირით. ისევე, როგორც წარსულ საარჩევნო კამპანიაში, პარტია არჩევნებზე მიდის პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად.

კომუნისტების პარტია იმედოვნებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში ამომრჩევლები კვლავ ნდობით მოეპყრობიან კომუნისტურ პარტიას და მოიწონებენ მის პოლიტიკას. პარტიას იმედი აქვს, რომ ყველა ამომრჩეველი ხმას მისცემს კომუნისტური პარტიის მიერ უპარტიოებთან ერთად წამოყენებულ დეპუტატობის კანდიდატებს, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს".

ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას უპასუხეს ბოლშევიკების პარტიისადმი ერთსულოვანი ნდობით.

აი რამდენიმე ციფრი, რომლებიც ახასიათებენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნების შედეგებს და მკაფიოდ ცხადჰყოფენ საბჭოთა ხალხის სრულ ერთსულოვნობას ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისადმი მხარდაჭერაში.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა 657 საარჩევნო ოლქში ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 101.450.936 ამომრჩეველმა მთელ საბჭოთა კავშირში რეგისტრირებული 101.717.686 ამომრჩევლის საერთო რაოდენობიდან. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 100.603.567 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,16 პროცენტს. **(ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი სახელმწიფო მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის ყველაზე მრავალეროვანია და ამასთან ერთადერთი მრავალეროვანი სახელმწიფოა, სადაც ეროვნებათა ურთიერთობა განისაზღვრება არა თვითეული ერის რაოდენობით, არა ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით, არა სარწმუნოებით ან რაიმე სხვა ნიშნებით, არამედ მხოლოდ ეროვნული მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის დიადი ლენინურ-სტალინური იდეით. **(ტაში).**

ხალხთა მეგობრობა, ეროვნული ჩაგვრისა და უუფლებობის აღმოფხვრა წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის სიბრძნის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას და საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. „მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის, — ამბობდა ამხანაგი სტალინი,— დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან". საბჭოთა ქვეყანაში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, ერებისა და რასების თანასწორუფლებიანობა არა მარტო გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოს ძირითად კანონში — კონსტიტუციაში, არამედ თანმიმდევრულადაც ხორციელდება პარტიისა და მთავრობის მიერ ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის ყველა სფეროში. სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის ურღვევი ძალა მთლიანად გამოვლინდა საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი განსაცდელის პერიოდში. როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა, ხალხთა მეგობრობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პირობას, რომელმაც უზრუნველჰყო ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნებმა 1946 წლის 10 თებერვალს ერთხელ კიდევ მკაფიოდ ცხადჰყო ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის სრული გამარჯვება. არჩევნებმა ცხადჰყო საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი ერთიანობა და მათი მზადყოფნა კვლავაც მუდამ ერთად იყვნენ ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ შრომასა და ბრძოლაში ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ახალ-ახალი გამარჯვებისათვის. **(ტაში).**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების შემადგენლობა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი თანამეგობრობის ცოცხალ სურათს წარმოადგენს. მასში წარმოდგენილია ჩვენს სამშობლოში მოსახლე ორმოცდაცხრა ეროვნება. დეპუტატთა შორის არიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები, თურქმენები, უზბეკები, ტაჯიკები, ყაზახები, ყირგიზები, კარელები, მოლდაველები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, აფხაზები, ოსები, თათრები, კომი, ბურიატები, იაკუტები, ჩუვაშები, უდმურტები, ბაშკირები, ებრაელები, მორდვინები, ფინელები, ყარაყალპაკები, მარიელები, ადიღეელები, ტუველები, ოიროტები, დარგოელები, ყუმუხები, ავარიელები, ხაკასები, ვეფსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

ხალხების საბჭოთა თანამეგობრობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდ რუს ხალხს — უფროს ძმას სსრ კავშირის ხალხთა თანასწორუფლებიან ოჯახში. **(მქუხარე ტაში).** ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის პირველმა დაიწყო რა დიდი სოციალისტური რევოლუცია, მან არა მარტო ნებაყოფლობით სთქვა უარი წინანდელ პრივილეგიურ მდგომარეობაზე მეფის რუსეთის ხალხთა შორის, არამედ დაუღალავად ყოველმხრივ დახმარებასაც უწევს წინათ ჩაგრულ და ჩამორჩენილ ხალხებს სწრაფი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საქმეში. ჩვენი სამშობლოს ყველა წინათ ჩაგრულმა ხალხებმა კარგად იციან, რომ დიდი რუსი ხალხის მიერ ძმური დახმარების გაუწევლად ისინი ვერ შესძლებდნენ განთავისუფლებულიყვნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან, რომ მის მიერ მუდმივი დახმარების გაუწევლად ისინი ვერ მიაღწევდნენ თავიანთი სახალხო მეურნეობის აღმავლობას და თავიანთი ეროვნული კულტურის აყვავებას. საბჭოთა კავშირის ყოველმა ხალხმა მშვენივრად იცის, რომ მთავარი გადამწყვეტი როლი მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად დიდ სამამულო ომში, რომელშიც სწყდებოდა სსრ კავშირის ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი, დიდ რუს ხალხს ეკუთვნის. ამიტომაც ასე განუსაზღვრელად მაღალია რუსი ხალხის ავტორიტეტი სხვა ხალხთა შორის, ამიტომაც სსრ კავშირის ხალხები გამსჭვალული არიან მისდამი უსაზღვრო ნდობით და უდიდესი სიყვარულისა და მადლობის გრძნობებით.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა შორის მამაკაცია 496, ანუ 75,5 პროცენტი, ქალი—161, ანუ 24,5 პროცენტი. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალის როლის საერთო ზრდასთან ერთად, რამაც თავისი მკაფიო გამოვლინება ჰპოვა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში, ქალის განთავისუფლებამ წინათ ჩამორჩენილ აღმოსავლეთ განაპირა მხარეებში და მათმა ჩაბმამ აქტიურ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში თავისი შესანიშნავი ნაყოფი მოგვცა.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა შორის მუშებია 224, ანუ 34,1 პროცენტი, გლეხი—198, ანუ 30,1 პროცენტი, მოსამსახურე და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელი—235, ანუ 35,8 პროცენტი. ეს ციფრები მოწმობენ საბჭოთა კავშირის მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის მჭიდრო ერთიანობას და ინტერესთა სრულ ჰარმონიას. **(ტაში).** მუშა დეპუტატთა შორის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, სამხედრო და საზოგადოებრივ სამუშაოზე იმყოფება 178 კაცი, ხოლო გლეხ დეპუტატთა შორის ასეთსავე სამუშაოზეა 75 კაცი. ეს ცხადად გვიჩვენებს თუ როგორ იზრდებიან ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის მეოხებით ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები სახელმწიფო მოღვაწეებად, საბჭოთა, პარტიულ, სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებათა ხელმძღვანელ მუშაკებად. ასეთი მოვლენა შეიძლება იყოს მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ჩვენს ქვეყანაში.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში სამხედრო მუშაკთა — უმცროსი მეთაურიდან საბჭოთა კავშირის მარშლამდე — მნიშვნელოვანი რაოდენობის ყოფნა გამოხატავს ჩვენი ხალხის დიდ სიყვარულს თავისი გმირი წითელი არმიისადმი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა და მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები იხსნა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. **(მქუხარე ტაში).**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებს შორის არიან შახტებისა და მაღაროების, ნავთისა და მეტალურგიული მრეწველობის, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგებისა და რკინიგზის ტრანსპორტის საუკეთესო მუშები და ოსტატები. დეპუტატებად არჩეული არიან კოლმეურნეობათა 44 თავმჯდომარე, 20 ბრიგადირი და მერგოლური და სოფლის მეურნეობის სხვა წარჩინებული მუშაკები—ქალები და კაცები.

ეროვნებათა საბჭოში ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა ინტელიგენცია. ბევრნი არიან დეპუტატები, — საკავშირო და რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა შორის ბევრია მოწინავე სპეციალისტი, ინჟინერი, პედაგოგი, ექიმი. 54 საბჭოთა კავშირის გმირი და 13 სოციალისტური შრომის გმირი, აგრეთვე სტალინური პრემიის 16 ლაურეატი არჩეულია ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად. **(ტაში).** 447 დეპუტატი, ანუ საერთო შემადგენლობის 68 პროცენტი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით. **(ტაში).**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებს შორის 195 პირს, ანუ 29,7 პროცენტს აქვს დამთავრებული უმაღლესი განათლება, 32 პირს, ანუ 4,9 პროცენტს— დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 140 პირს, ანუ 21,3 პროცენტს — საშუალო განათლება.

დეპუტატთა ასაკობრივი შემადგენლობა ასეთია: 34 კაცი 23-დან 25 წლამდე, 55 კაცი 26-დან 30 წლამდე, 95 კაცი 31-დან 35 წლამდე, 145 კაცი 36-დან 40 წლამდე, 170 კაცი 41-დან 45 წლამდე, 75 კაცი 46-დან 50 წლამდე, 37 კაცი 51-დან 55 წლამდე, 20 კაცი 56-დან 60 წლამდე და 26 კაცი 60 წლისაზე უხნესი.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების შემადგენლობაში არჩეულია საკავშირო კ. პ. (ბ) 509 წევრი და კანდიდატი, 148 უპარტიო.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამასწინანდელი არჩევნებით, რაც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა, საბჭოთა ხალხმა გამოხატა თავისი ურყევი ნება იაროს წინ, ახალი მიღწევებისაკენ, თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილი სტალინური გზით. ახლანდელი ეროვნებათა საბჭო არჩეულია და მუშაობას იწყებს საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების პირობებში, რომელიც მოპოვებულია ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობისა და მხედართმთავრული გენიის მეოხებით. **(მქუხარე ტაში).** ჩვენი ქვეყნის ყოველი ხალხი მთელ თავის ძალებს ძაბავდა, რათა თავისი წვლილი შეეტანა გამარჯვების საერთო საქმეში. ომში გადატანილი განსაცდელის შედეგად ჩვენი სახელმწიფო კიდევ უფრო განმტკიცდა, იგი მსოფლიოში ყველაზე მტკიცე სახელმწიფოა. მაგრამ ომმა ჩვენს ქვეყანას დიდი ნგრევა მოუტანა, მრავალი ჭრილობა მიაყენა სახალხო მეურნეობასა და კულტურას. ჩვენმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა პარტიასა და ხალხს დაუსახა გრანდიოზული ამოცანები ომით მოყენებული ჭრილობების სწრაფად მოშუშებისა და ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. ეროვნებათა საბჭოს სესიამ უნდა განიხილოს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ჩვენ განსაკუთრებულ მოვალეობას გვაკისრებს ის გარემოება, რომ ამ გეგმის შესრულება ძირითადად ემთხვევა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ახლადარჩეული დეპუტატების რწმუნებათა ვადას. ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ რა საბჭოთა ხალხის დეპუტატის წმიდა მოვალეობას, რომელიც გენიალურად განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა, ჩვენ ძალების დაუშურებლად შევუდგებით მუშაობას, რათა მშრომელებთან ერთად, რომლებმაც წარმოგვგზავნეს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ორგანოში, ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი აღმავლობის დიადი ამოცანები, რომლებიც დასახულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ. ამ საქმეში ჩვენი წარმატების საწინდარია დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! სამანდატო კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნების ყველა იმ მასალის განსახილველად, რომლებიც წარმოდგენილია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„შეამოწმა რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ყველა საარჩევნო დოკუმენტი და მასალა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შესახებ ცალცალკე თვითეულ დეპუტატზე, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია ადასტურებს:

1. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა 657 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათი სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში კონსტიტუციის ან არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ არც საარჩევნო ოლქებში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ არის.

აღნიშნულის საფუძველზე—ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს ეროვნებათა საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტიის" 1946 წლის 14 თებერვლის № 40-ში".

ეს გადაწყვეტილება სამანდატო კომისიას შემოაქვს ეროვნებათა საბჭოს სესიის დასამტკიცებლად. **(ტაში).**

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წელს აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლისათვის

## წულუკიძის რაიონის მოწინავე მეაბრეშუმეთა და მეაბრეშუმე სპეციალისტთა სარაიონო შეკრების მიმართვა საქართველოს ყველა მეაბრეშუმესა და მეაბრეშუმე სპეციალისტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო სასიხარულო დღეებს განიცდის. საბჭოთა ხალხის ხამამულო ომი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, ჩვენი სამშობლო გადურჩა გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

ეს უდიდესი გამარჯვება ჩვენმა ხალხმა და გმირმა წითელმა არმიამ მოიპოვეს ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი. 10 თებერვალს საბჭოთა ხალხმა აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. არჩევნები უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს. თავის პირველ დეპუტატად გამარჯვებულმა ხალხმა აირჩია საყვარელი ბელადი, ბრძენი მხედართმთავარი, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დიდი სტალინი.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით ხალხმა ხმა მისცა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, იმ დიადი გეგმების განხორციელებას, რომლებიც ჩვენს წინაშე დასახულია მეოთხე სტალინურ ხუთწლედში.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების დიადი პროგრამა დაგვისახა, მოგვცა სწორი გზა მის განსახორციელებლად. დიდი ამოცანებია დასახული სოფლის მეურნეობის მუშაკთა, კერძოდ მეაბრეშუმეთა წინაშე. წელს საბჭოთა სამშობლოს უნდა მივცეთ გაცილებით მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი, ვიდრე წინა წლებში.

1945 წელს ჩვენი რაიონის მშრომელებმა ერთ კოლოფ ქიაზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41 კილოგრამისა მიიღეს 45,4 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 1.687 ცენტნერი პარკი, ნაცვლად 1.527,3 ცენტნერისა. გეგმა შესრულებულია 110,5 პროცენტით. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, მეაბრეშუმეობის რგოლებმა და ცალკეულმა მეაბრეშუმეებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს.

წულუკიძის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ კოლოფ ქიაზე მიიღო 99 კილოგრამი პარკი; გეგმა შესრულა 251,1 პროცენტით. სოფელ გუბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ კოლოფზე მიიღო 51,2 კილოგრამი; გეგმა შეასრულა 125,3 პროცენტით. სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ბაბილინა ტაბიძემ გამოჰკვება 13 გრამი ქია და მიიღო 67,8 კილოგრამი პარკი; გეგმა შეასრულა 166,5 პროცენტით. სოფელ მათხოჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნინო მელაძემ გამოჰკვება 15,5 გრამი ქია, მიიღო საშუალო გამოსავალი 81,5 კილოგრამი და გეგმა შეასრულა 202 პროცენტით. სოფელ გუბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მარო გეგუჩაძემ გამოჰკვება 16 გრამი აბრეშუმის ქია, მიიღო 89,8 კილოგრამი—გეგმის 201,5 პროცენტი. სოფელ კუხის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე-მერგოლურმა ნადია გორდაძემ რგოლში გამოჰკვება 10,5 კოლოფი ქია, ერთ კოლოფზე საშუალოდ მიიღო 77,5 კილოგრამი და გეგმა შეასრულა 188,9 პროცენტით. მათხოჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე მერგოლურმა აგრაფინა ბობოხიძემ რგოლში გამოჰკვება 6,8 კოლოფი ქია, საშუალოდ ერთ კოლოფზე სახელმწიფოს ჩააბარა 53,6 კილოგრამი პარკი — გეგმის 143 პროცენტი. წულუკიძის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის ბრიგადამ (ბრიგადირი მარო მამულაშვილი) გამოჰკვება 10 კოლოფი ქია, კოლოფზე საშუალო გამოსავალი მიიღო 103,2 კილოგრამი პარკი და გეგმა შეასრულა 251,1 პროცენტით. წულუკიძის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ბრიგადამ (ბრიგადირი ფედოსი რუხაძე) გამოჰკვება 28,8 კოლოფი ქია. საშუალოდ ერთ კოლოფზე მიიღო 48,7 კილოგრამი, ანუ გეგმის 120,6 პროცენტი. წულუკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ქსენია ჩხენკელის ბრიგადამ ერთ კოლოფზე პარკის მოსავლიანობის გეგმა 123,1 პროცენტით შეასრულა.

ეს მაგალითები მოწმობენ, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი მოგვეპოვება აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლისათვის.

ჩვენი ამოცანაა წელს მეტი ნედლეული მივცეთ სოციალისტურ მრეწველობას. ამ მიზნით აგროტექნიკურ წრეებში და ინდივიდუალური წესით მოვამზადეთ 6.400 მეაბრეშუმე, 115 ბრიგადირი და 684 რგოლის ხელმძღვანელი. ჯერ კიდევ შარშან ფორმალინის საშუალებით დეზინფექცია გავუკეთეთ 6.400 ბინას.

ძვირფასო ამხანაგებო! მოგმართავთ მოწოდებით მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლისათვის.

ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. აბრეშუმის ქიის გამოკვებაში ფართოდ გამოვიყენოთ ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილება; ქიის გამოსაკვებ 500 ბინაში ავაშენოთ ფრანკლინის სისტემის ღუმელები; ქიის კვების დაჩქარების უზრუნველსაყოფად მოვამზადოთ და შევარჩიოთ რაიონში 2.700 დათბუნული ბინა; ტემპერატურა მთელი კვების პერიოდში ვიქონიოთ 23-24 გრადუსი ცელსიუსით, ხოლო პარკის ახვევისას—21-22 გრადუსი; დავიცვათ ნორმალური სინესტე (65-70 პროცენტი); ქიის კვებაში დავამყაროთ მტკიცე რეჟიმი; მინიმუმამდე დავიყვანოთ კვების ხანგრძლივობა; კვება მოვაწყოთ მთელი დღე-ღამის განმავლობაში; პირველ ასაკებში დღისით ვკვებოთ 7-8-ჯერ, ხოლო ღამით 2-3-ჯერ, უკანასკნელ ასაკებში დღისით ვკვებოთ 6-7-ჯერ, ხოლო ღამით 2-3-ჯერ; აბრეშუმის ქიას პირველ ასაკებში საკვებად მივცეთ დაჭრილი ფოთოლი, ცოტ-ცოტა, რომ ქიამ საკვები მთლიანად აითვისოს, ხოლო უკანასკნელ ასაკებში ტოტებით ვკვებოთ; დღისით კვებისათვის ფოთოლი დავამზადოთ ადრე, მზის ამოსვლამდე, ხოლო ღამით კვებისათვის საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ; ქიის გამოკვება 40-50 დღის ნაცვლად დავიყვანოთ 30-35 დღემდე პარკის ჩაბარების ჩათვლით.

2. ვადამდე დავამთავროთ აბრეშუმის პარკის ჩაბარების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება; ქიის გაცემამდე 10-15 დღით ადრე ჩავატაროთ ყველა ბინაში განმეორებითი დეზინფექცია ფორმალინისა და გოგირდის საშუალებით; დროულად მოვამზადოთ რაიონში არსებული 22 საინკუბაციო კამერა საჭირო ინვენტარით; ინკუბაცია რაიონში დავიწყოთ ვადაზე და ქიები კამერიდან გავცეთ გამოცოცხლების დღესვე; დავამზადოთ ლასტები და ყველა საჭირო ინვენტარი არაუგვიანეს 1 აპრილისა.

3. აბრეშუმის ქიისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა ნაკვეთებზე წელს დავრგოთ მაღალტანიანი თუთის ხე არანაკლებ 22 ათასი ძირისა, მოვაწყოთ 0,5 ჰექტარი თუთის სათესი და 3 ჰექტარი სანერგე.

4. გულმოდგინედ მოვუაროთ თუთის პლანტაციებს, შემოვუბაროთ ძირები და გავასუფთავოთ კრონები, არ დავუშვათ მათი არასწორი ექსპლოატაცია.

5. ფართოდ დავნერგოთ მეაბრეშუმეობაში შრომის სოციალისტური მეთოდები, გავაჩაღოთ შეჯიბრება სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს შორის, ხოლო კოლმეურნეობებში—ბრიგადებსა და რგოლებს, აგრონომებსა და ცალკეულ მეაბრეშუმეებს შორის.

6. აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის დაწესებული გეგმა შევასრულოთ სულ მცირე 110 პროცენტით; თვითეულ კოლოფ ქიაზე საშუალოდ მივიღოთ 46 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

პირობას ვიძლევით 1946 წელს მოვიყვანოთ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი, რომელიც ღირსი იქნება მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლისა.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს საკოლმეურნეო წყობილებას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, კოლმეურნე გლეხობის საყვარელ მეგობარს და მამას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

წულუკიძის რაიონის მოწინავე მეაბრეშუმეთა შეკრების დავალებით:

საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი ვ. ოზოლაძე, უბნის სტახანოველი ინსტრუქტორი ო. ბარაბაძე, სტახანოველი მეაბრეშუმე ნ. მელაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ჩომახიძე, მეაბრეშუმე სტახანოველი ბრიგადირი ფ. რუხაძე, რაიაბრეშუმის გამგე ს. კინწურაშვილი, რაიმიწგანის გამგე ა. ჩიქოვანი, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები ვ. დარსაველია, ვ. რუხაძე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები პ. მაისურაძე, დ. ჩხენკელი, კ. გეგუჩაძე, ა. მამარდაშვილი, მ. გორდაძე, ვ. მუშკუდიანი, მეაბრეშუმე სტახანოველი მერგოლურები: ნ. გორდაძე, ა. ბობოხიძე, ვ. ბალავაძე, დ. ყურაშვილი, რაიაბრეშუმის უფროსი აგრონომი ზ. სალარაძე, უბნის აგრონომები დ. ჩარგეიშვილი, გ. კოპალიანი, ი. ჩხეიძე, მეთუთე აგრონომი დ. მიქელაძე.

# დიმიტრი ფურმანოვი

## გარდაცვალების 20 წლისთავი

ოცი წლის წინათ, 1926 წლის 15 მარტს, გარდაიცვალა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დიმიტრი ანდრიას-ძე ფურმანოვი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო იგი, როცა მაინრიდისა და ვალტერ სკოტის გავლენით მხურვალედ დაინტერესდა მწერლობით, მტკიცედ გადასწყვიტა ჩაბმულიყო შემოქმედებით მუშაობაში. „რატომ არ უნდა მოვკიდო ხელი,—სწერს დ. ფურმანოვი 1910 წელს თავის დღიურში, — და არ დავწერო მოთხრობა ჩემს შესახებ? მე სულით პოეტი ვარ, ვწერ ლექსებს, მიყვარს ლიტერატურა, ვიტანჯები რუსული ენისათვის და ზოგჯერ ძალიან ვეჭვიანობ მასთან დაახლოებულთადმი, მაგრამ, როგორც სჩანს, უღირსთადმი... ჩემს მომავალს მშვიდად ვუცქერი, რატომღაც ვფიქრობ, რომ მწერალი უნდა გავხდე და — უსათუოდ პოეტი“.



ყრმა ფურმანოვის გონებრივმა განვითარებამ ცხადჰყო, რომ მისი მოწოდება მხატვრული პროზა იყო. 1910 წლიდან ის სისტემატურად აწარმოებდა დღიურს. შემდეგში ეს დღიურები ფრიად ნაყოფიერი მასალა გახდა მწერლის შესანიშნავ ნაწარმოებთა — „ჩაპაევისა“ და „ამბოხების“ შესაქმნელად.

დ. ფურმანოვმა პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი წრთობის მეტად რთული გზა განვლო. მას შეგნებული ცხოვრების დასაწყისშივე აშკარად დაეტყო ტოლსტოის, რილეევის, ჩერნიშევსკის, ნიკიტინის, ტურგენევის, გრიგოროვიჩის, პისარევის, დობროლიუბოვის ნაწერების ცხოველმყოფელი გავლენა.

ივანოვო-ვოზნესენსკის სავაჭრო სკოლაში კურსის დამთავრების შემდეგ დ. ფურმანოვი 1910 წელს შედის სწავლის განსაგრძობად კინეშმის რეალურ სასწავლებელში. ამ პერიოდის დღიურების ჩანაწერები გვიხატავენ ავტორის უკმაყოფილებას იმ სულისშემხუთველი ატმოსფეროთი, რაც გამეფებული იყო აღნიშნული სასწავლებლის კედლებში. 1912 წელს დ. ფურმანოვი შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მალე გადადის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. აქ იგი დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მისი მღელვარე სულის მოთხოვნილებას, ვერ იძლევა პასუხს იმ უამრავ კითხვებზე, რომლებითაც დაინტერესებულია ჭაბუკი ფურმანოვის დაუდეგარი და ცნობისმოყვარეობით აღსავსე ბუნება. ასეთ მძიმე სულიერ ვითარებაში მოუსწრო მას პირველმა მსოფლიო ომმა.

სიახლის ძიებით გატაცებულმა ახალგაზრდამ გადასწყვიტა გაჰყოლოდა ხალხის მასებს და თავისი ადგილი მოეძებნა. ის ფრონტზე წავიდა. ეს შეიქნა გარდატეხის ეტაპი მის ცხოვრებაში. ომის საშინელებამ მასში გააღვივეს რევოლუციური ცეცხლი. სანიტარულ მატარებელს იგი დაჰყვება ფრონტიდან ფრონტზე, ურალიდან კავკასიამდე და იძენს ცხოვრების მდიდარ გამოცდილებას. თავისი გამჭრიახი გონებით მომავალი მწერალი ამჩნევს, რომ ომის ქარცეცხლში მწიფდება რაღაც დიადი, გარდამქმნელი ძალა, მაგრამ მის კონკრეტულ გამოხატულებას ჯერ კიდევ ვერ მისწვდომია.

დ. ფურმანოვი ივანოვო-ვოზნესენსკში იმყოფებოდა, როცა 1917 წლის რევოლუცია მოხდა. ამ პერიოდში მან განვლო პოლიტიკური თვითგამორკვევის უაღრესად რთული გზა. ის მალე მივიდა ბოლშევიკის მაღალ შეგნებამდე და 1918 წლის ივნისში შევიდა რუსეთის კ. პ. (ბ) რიგებში. დ. ფურმანოვის რევოლუციური და მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დიდ პროლეტარულ მხედართუფროს მ. ვ. ფრუნზესთან შეხვედრამ. ამ დროს ფურმანოვი ივანოვო-ვოზნესენსკში რევოლუციური შტაბის თავმჯდომარე იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე.

როცა მ. ვ. ფრუნზე IV არმიის სარდლად დაინიშნა, დ. ფურმანოვი მისკენ გაეშურა ივანოვო-ვოზნესენსკელ ფეიქართა II რაზმთან ერთად. სამარაში ჩასვლისთანავე 1919 წელს მ. ვ. ფრუნზემ დ. ფურმანოვი დანიშნა XXV დივიზიის კომისრად, რომელსაც ლეგენდარული გმირი ვ. ი. ჩაპაევი მეთაურობდა.

ამ დღიდან დაიწყო დ. ფურმანოვის ახალი, ყველაზე საინტერესო ცხოვრება. ჩაპაევის დივიზიაში პოლიტიკური კომისრის საპასუხისმგებლო პოსტზე ყოფნამ, ლეგენდარული დივიზიის მოწინავე რიგებში საყვარელი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ თავდადებულმა ბრძოლამ საბოლოოდ გამოაწრთო დ. ფურმანოვი, როგორც ახალი ტიპის მწერალი, მებრძოლი—შემოქმედი, პროპაგანდისტი, მგზნებარე აგიტატორი. სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში გამოიკვეთა დ. ფურმანოვის, როგორც მოწინავე მოღვაწისა და შესანიშნავი მწერლის სახე.

ეს პერიოდი დ. ფურმანოვმა მხატვრულად ასწერა თავის სახელგანთქმულ წიგნში „ჩაპაევი“. ავტორი უდიდესი სიყვარულით და ჭეშმარიტი შემოქმედის გზნებით გვიხატავს ხალხის საყვარელ გმირს ვ. ი. ჩაპაევს. ამ რომანში ყველაფერი მოცემულია წარმტაცი უბრალოებით, ყოველგვარი გაზვიადებისა და ხელოვნურობის გარეშე. დ. ფურმანოვის ეს რომანი ფართო მხატვრული ტილოა, იგი სამოქალაქო ომის მდიდარ ილუსტრაციას, მის ამაღელვებელ გმირულ ეპოპეას წარმოადგენს. ამიტომ იქცა „ჩაპაევი“ ხალხის ფართო მასების საყვარელ წიგნად, ხოლო მისი გმირები — მისაბაძ ადამიანებად, რომლებიც მკითხველის შეგნებაში ამკვიდრებენ ჰუმანიზმის ნათელ იდეებს, კაცობრიობის ბედნიერებისათვის თავდადებული ბრძოლის მაღალ პრინციპებს.

1919 წლის შემოდგომაზე, ჩაპაევის დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე, დ. ფურმანოვი გაიწვია მ. ვ. ფრუნზემ და დანიშნა თურქესტანის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსად. უაღრესად გულთბილი და ადამიანურია ჩაპაევის დამშვიდობების სცენა ფურმანოვთან. მკაცრი გმირი თვალზე ცრემლმორეული ეუბნება თავის უახლოეს მეგობარს და უშიშარ თანამებრძოლს:

„მშვიდობით, მიტია! მრავალ ბრძოლაში ვყოფილვართ მე და შენ, მრავალი გაჭირვება ერთად გადაგვიტანია, მაგრად შემიყვარდი და მენანება განშორება. ფრუნზე რომ არ ეთხოვს ამ საქმეში, — სკანდალს ავტეხდი, არ გაგიშვებდი. გმადლობ ყველაფრისათვის. ბევრი რამ მასწავლე შენ...“

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1920 წლის თებერვალში შორეულ სემირეჩიეში. ამის გამო ფრუნზე იძულებული გახდა გაეგზავნა ფურმანოვი სემირეჩიეში თურქესტანის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს რწმუნებულად. მუშათა კლასისა და რევოლუციის მტრები გააფთრებით ესხმოდნენ თავს ჩვენს ნაწილებს. ამას ზედ ერთვოდა შიგნიდან მოღალატეთა შავბნელი საქმიანობა. მოხდა ბასმაჩების აჯანყება ჩვენს წინააღმდეგ. 15 კომუნისტმა ფურმანოვის ხელმძღვანელობით გადასწყვიტა დაემორჩილებინა ამბოხებულთა ხუთიათასიანი ბრბო. შეუდრეკელმა რევოლუციონერებმა შესძლეს ასეთი რთული ამოცანის ბრწყინვალედ შესრულება.

ამ ამბებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს დ. ფურმანოვის წიგნში „ამბოხება“. ისე როგორც „ჩაპაევში“, ავტორი დღიურის ჩანაწერებს იყენებს ამ ნაწარმოების შესაქმნელად, ზუსტად გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებს და აჰყავს ისინი ნამდვილ მხატვრობამდე.

„ჩაპაევისა“ და „ამბოხების“ გარდა დ. ფურმანოვის კალამს ეკუთვნის „ლეგენდა უნგლების შესახებ“, „ობივატელის წერილები“, მრავალი სტატია და ნარკვევი.

დიდი სამამულო ომის მკაცრი განსაცდელის ჟამს თვითეული საბჭოთა მოქალაქისა და მებრძოლის შეგნებაში კვლავ ცოცხლობდნენ დ. ფურმანოვისა და მისი მოთხრობების გმირთა დაუვიწყარი სახეები. ისინი მოგვიწოდებდნენ მტრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ. დ. ფურმანოვის მხატვრული შემოქმედება შევიდა საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში.

**მ. თუშიშვილი**

# კოლმეურნეობა ემზადება თესვისათვის

სიღნაღელი კოლმეურნეები ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ბეგაშვილი) კარგად უვლის მუშა-საქონელს. საკმაოდ აქვს კონცენტრირებული და უხეში საკვები. სადგომები დათბუნვილია. მუშა-პირუტყვს გაძლიერებულად კვებავენ.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ბრიგადირები ვ. ჩუთულაშვილი და მ. ძმანაშვილი, მეხრეები თ. ჩუთულაშვილი და ვ. ტოკლიკიშვილი.

ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო ინვენტარის მომზადებას. შეკეთებულია 13 გუთანი, 5 ფარცხი, 12 ზიგზაგი ფარცხი, წესრიგშია მოყვანილი მუშა-საქონლის აკაზმულობა.

მარცვლეულის, მზესუმზირას და ლობიოს სათესლე მასალა საკმაო რაოდენობით არის გამოყოფილი, აყვანილია სათეს კონდიციამდე. აკლიათ 15 ცენტნერი კარტოფილის თესლი.

საკოლმეურნეო სამჭედლო უზრუნველყოფილია კვალიფიციური მჭედლებით, ხელსაწყოებითა და საჭირო მასალებით. მომზადებულია 3 ტრაქტორისტი და 1 კომბაინერი.

კოლმეურნეობა შეუდგა ვენახის დაბარვას. სწარმოებს აგრეთვე შესარვა (ჭიგოს შედგმა). სტახანოვურად მუშაობენ კოლმეურნეები დ. ქოქაშვილი, ი. ჩუთულაშვილი და ვ. ჯანიაშვილი. თვითეული დღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებს.

კოლმეურნეობას შეგროვებული აქვს 200 ტონა ნაკელი, მაგრამ დღემდე არ გაუტანია მინდვრად. საკოლმეურნეო ბრიგადებისა და რგოლების შევსებას აჭიანურებენ. თუ ამ ნაკლოვანებებს აღმოფხვრიან, კოლმეურნეობა მზად იქნება თესვისათვის.

**გ. ყაჯრიშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# ბეჯითი შრომით

ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის „მშრომელი გლეხის“ წევრებმა შარშან თავი ისახელეს სტახანოვური მუშაობით. მათ წარმატებით შეასრულეს მოსავლიანობის ზრდის გეგმები და სახელმწიფო ჩაბარებათა ვალდებულებანი. შედეგად კოლმეურნეებმა გამომუშავებულ შრომადღეებზე უხვად მიიღეს პროდუქტები.

სტახანოველ ისაკი ტუსიაშვილის ოჯახმა გასულ წელს 1.433 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო: 405 ფუთი მარცვლეული, 13,5 ფუთი შაქარი, 200 ფუთამდე ბოსტნეული, 50 ფუთამდე კარტოფილი, აგრეთვე ყველი, მატყლი, ბზე, ჩალა და ფულად 5.000-დე მანეთი.

ორი წითელარმიელის მამის 60 წლის გიორგი ცაცანაშვილის ოჯახმა შარშან 1.306 შრომადღე გამოიმუშავა, ირაკლი ბუხრიკიშვილისამ—1.065, აკაკი მეტივიშვილისამ—1.093, წითელარმიელის ცოლის ლიზა მეტივიშვილის ოჯახმა—700 შრომადღე.

კოლმეურნეები კიდევ უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ წელს.

# უხვი შემოსავალი ტუნგოს პლანტაციისაგან

ხობის რაიონის სოფელ ბიის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ დიდ წარმატებას მიაღწია ტუნგოს კულტურის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. გეგმით გათვალისწინებული 26 ტონის ნაცვლად წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა ტუნგოს 48 ტონა მაღალხარისხოვანი ნაყოფი.

ჩაბარებული ნედლეულის ანგარიშში კოლმეურნეებმა მიიღეს 9,6 ტონა მარცვლეული, 0,7 ტონაზე მეტი საპონი და ფულად 120 ათასზე მეტი მანეთი. კოლმეურნეობა წელს დამატებით 5 ჰექტარ ტუნგოს პლანტაციას გააშენებს.

# ვიბრძოლოთ ახალი წარმატებებისათვის

ჩვენი რაიონის მშრომელებმა გასულ წელს სერიოზული წარმატებები მოიპოვეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობა, მკვეთრად გაუმჯობესდა მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი, იმატა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობამ. სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ერთი ცენტნერით გადიდდა. ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა 102,5 პროცენტით შესრულდა, ამასთან მოკრეფილი ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისა იყო. საკოლმეურნეო ფერმების მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ყველა სახის პროდუქტთა ჩაბარების ვალდებულებანი, მიმდინარე წლის ანგარიშში შარშან სახელმწიფოს მისცეს 1.000 ცენტნერზე მეტი ხორცი.

წარმატებანი მოპოვებულია იმის შედეგად, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების პოლიტიკურ და სამეურნეო აქტივობას. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. დაინერგა მოწინავეთა გამოცდილება. შემოღებულ იქნა კოლმეურნეობათა შორის ურთიერთდახმარება.

აღსანიშნავია, რომ სიმინდის მოსავლიანობის გადიდებას დიდად შეუწყო ხელი საგაზაფხულო თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებამ. შარშან თესვა წინა წელზე 20 დღით ადრე დამთავრდა. ათვისებულ იქნა 1.000 ჰექტარზე მეტი ყამირი. ცუდი ამინდის მიუხედავად, კოლმეურნეობებმა ყანები კარგად დაამუშავეს. წინანდელზე ერთიორად მეტი მოსავალი მიიღეს ცხაკაიას სტალინის სახელობის, ცხაკაიას ბერიას, ოქტომბრის ვოროშილოვის, ახალი სოფლის სტალინის, გეჯეთის ოქტომბრის და ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა. მათ შრომადღეზე 3-5 კილოგრამი სიმინდი გაანაწილეს.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა ჩაის დაზიანებული პლანტაციების აღსადგენად. რაიონის ის კოლმეურნეობები, რომლებსაც ჩაის პლანტაციები არა აქვთ, ეხმარებოდნენ მეჩაიე კოლმეურნეობებს. გაწმენდილ იქნა 300 ჰექტარზე მეტი ძლიერ დასარევლიანებული პლანტაცია, ხოლო რემონტი გაუკეთდა და გადაიბარა 1.783 ჰექტარი. ასევე დროულად შესრულდა ყველა სხვა სახის სამუშაო. ამის შედეგად მკვეთრად იმატა ჩაის მოსავლიანობამ.

ჩაის პლანტაციების სანიმუშო მოვლა-დამუშავების შედეგად ფოცხოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. შამათავა) სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 4.000 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა და პრემიაწანამატის სახით 13.600 მანეთი მიიღო. დავალებანი ასევე წარმატებით გაანაღდეს ამავე სოფლის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე გ. შონია) და სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა. დაწინაურდნენ სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე ლ. გაბელია), ამავე სოფლის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ს. გაბელია), ხორშის კუიბიშევის სახელობის (თავმჯდომარე ა. გვასალია) და გეჯეთის ოქტომბრის სახელობის (თავმჯდომარე შ. ბურსულაია) კოლმეურნეობები.

წარმატებით მუშაობდა შარშან უშაფათის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი შ. დავითაია). საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მან 115 პროცენტით შეასრულა, დამატებით 1.000 კილოგრამზე მეტი „ექსტრა“ და „საქართველოს თაიგული“ გამოუშვა, ამასთან 5.200 კილოვატსაათი ელექტროენერგია და 5.700 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ფაბრიკამ სახელმწიფოს მისცა 5.000.000 მანეთის მოგება. იგი ახლა ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ ითვლება.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა-დაცვისათვის. ციტრუსების მყნობის გეგმა 100,3 პროცენტით შესრულდა. შემოდგომაზე მიმდინარე წლის ანგარიშში გაშენდა 40 ათასი ძირი მანდარინი. წარმატებით შესრულდა ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის რემონტისა და აღდგენის სამუშაოები, ტრიფოლიატის თესვის, ნაძირეების გადარგვის, ქარსაფარი ზოლის მოწყობისა და ნარგავთა საზამთრო მოვლის ყველა დავალება.

ტუნგოს დამზადების გეგმა რაიონმა 145 პროცენტით შეასრულა—115 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 167 ტონა ნაყოფი. ასევე წარმატებით შესრულდა ვენახის, ამერიკული ვაზის, ბამბუკის, ევკალიპტისა და კეთილშობილი დაფნის კულტურის გაშენების დავალებანი.

ამ წარმატებათა მოპოვებისათვის დაუღალავად მუშაობდნენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. დ. ქუჩულორია) სისტემატურად იხილავს სამეურნეო საკითხებს, ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს, მათი განხორციელებით ქმედითად ეხმარება კოლმეურნეობის გამგეობას. გასული წლის ივლისში პარტორგანიზაციამ განიხილა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში კოლმეურნეობის ჩამორჩენის საკითხი. გამოირკვა, რომ იმ ბრიგადებში, რომლებსაც კომუნისტები ი. სანაია, ა. შამათავა და ღ. შამათავა ხელმძღვანელობდნენ, შრომა მოუწესრიგებელი იყო, კოლმეურნეები სამუშაოზე გვიან გამოდიოდნენ, ჩაის კრეფაში მონაწილეობას არ იღებდა ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე, ირღვეოდა აგროწესები, დაწესებული არ იყო ნორმები. პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა სწრაფად გამოსწორდა, კოლმეურნეობა მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. სამეურნეო საკითხებს სისტემატურად იხილავენ და კოლმეურნეობათა გამგეობებს კარგად ეხმარებიან სოფელ ფოცხოს (მდივანი ვ. ბერიძე), სოფელ ზანის ბერიას სახელობის (მდივანი დ. ბოჯგუა) კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები. ამ კოლმეურნეობებში მაღალია კომუნისტების ავანგარდული როლი. კომუნისტები შ. დემურია, ა. მირცხულავა, ბ. კორშია, ლ. ნიკოლავა, ზ. გაბედავა თავდადებული შრომის ნიმუშებს იძლევიან. თვითეულმა მათგანმა შარშან 300-600 შრომადღე გამოიმუშავა.

შეუჩერებლად იზრდება სტახანოველთა რიგები. 1944 წელს რაიონში 385 სტახანოველი ითვლებოდა, ახლა 750 გვყავს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი ჩაის მკრეფავი, ლენინის ორდენოსანი ნაზია კუჭავა. მისმა რგოლმა შარშან 12.149 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა. პირადად კუჭავამ მოჰკრიფა 7.500 კილოგრამი ფოთოლი და 800 შრომადღე გამოიმუშავა. მის მაგალითზე აღიზარდნენ ახალგაზრდა კოლმეურნეები ნინუცა გოგინავა, ლილი წირღვავა, ძაბული შამათავა, ნატაშა წირღვავა და სხვა მრავალი.

სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, შრომის წითელი დროშის ორდენოსან ტატიანა ტყებუჩავას რგოლმა 9.117 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა. აქედან ტყებუჩავას წილად მოდის 4.500 კილოგრამი. სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევა აგრეთვე უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური გოგუცა ხვიჩია.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. შარშან ყველა კოლმეურნეობა როდი მუშაობდა კარგად. ზემოჭალადიდის, მენჯის, ხორშის, პირველი მაისისა და ეკის კოლმეურნეობები ჩამორჩნენ. გასულ სამეურნეო წელს მათ ვერ მიაღწიეს მოსავლიანობის გადიდებას, ვერ აამაღლეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამ კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

რაიონში ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. სატრაქტორო ბრიგადებმა უკვე დაამუშავეს 300 ჰექტარზე მეტი მიწა. დამთავრებულია იარაღ-მანქანების რემონტი, მზად არის 851 გუთანი, 301 კულტივატორი, 164 ფარცხი, 31 სათესი მანქანა. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან ყველა კულტურის თესლით. ჩაის პლანტაციებში შეტანილია 518 ტონა ფოსფოროვანი სასუქი, ნაცვლად 468 ტონისა, ხოლო აზოტოვანი სასუქის გატანის გეგმა უკვე 66 პროცენტით შესრულდა.

ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე ამჟამად დასახულია ახალი საბრძოლო ამოცანები.

ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ამხანაგი ლ. პ. ბერია ამბობდა:

„ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს ამხანაგი **სტალინი** საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებს. ეს ბევრ რამეს გვავალებს. სსრ კავშირში ჩვენ არსად არა გვაქვს ისეთი ფართო შესაძლებლობა ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინისა და ჩაის საუკეთესო ჯიშების გასაშენებლად, როგორც საქართველოში“.

ამხანაგ ბერიას ეს მითითება, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, ცხაკაიას რაიონის ბოლშევიკებს გვავალებს უკეთესად მოვუაროთ პლანტაციებს, მოვსპოთ მეჩხერიანობა, გავზარდოთ ჩაის მოსავლიანობა, რათა მიმდინარე წელს სამშობლოს შარშანდელთან შედარებით სულ ცოტა 100.000 კილოგრამით მეტი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მივცეთ.

ამავე დროს საჭიროა დაუღალავად ვიმუშაოთ ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1946 წლის თებერვლის ისტორიული დადგენილების განსახორციელებლად.

რაიონმა ხუთწლიანი გეგმით 650 ჰექტარი მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის პლანტაცია უნდა გააშენოს. ეს გვავალებს განსაკუთრებული მონდომებით ვიმუშაოთ და გამოვიყვანოთ ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინის საუკეთესო ჯიშები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით რაიონის მოწინავე ადამიანების დაჯილდოებამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა ცხაკაიას მშრომელები ახალი შრომითი მამაცობისათვის.

დიდი სტალინის მითითებათა განუხრელად განხორციელებით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ცხაკაიას რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ 1946 წლის სასოფლო-სამეურნეო დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

**ა. კვარაცხელია**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი

# გამოხმაურება უცხოეთის პრესაში ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემულ ინტერვიუზე

### ინგლისი

**ლონდონი,** 14 მარტი. (საკდესი). გუშინ და დღეს ლონდონის რადიომ რამდენჯერმე გადასცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის უ. ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემული ინტერვიუ. ამ ინტერვიუს ტექსტი გადასცა აგრეთვე რეიტერის სააგენტომ. დღეს ყველა გაზეთში პირველი ადგილი დათმობილი აქვს ამ ინტერვიუს, რომელიც ქვეყნდება უზარმაზარი სათაურებით, ამასთან გაზეთების უმრავლესობა ცდილობს შემოკლოს ინტერვიუს ის ადგილი,—სადაც ამხანაგი ი. ბ. სტალინი პასუხს იძლევა ჩერჩილის შენიშვნაზე კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდის შესახებ. თითქმის ყველა გაზეთს ინტერვიუს სათაურებში მოჰყავს ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ არსებითად ბ-ნი ჩერჩილი ახლა ომის გამჩაღებელთა პოზიციაზე დგას.

**ლონდონი,** 14 მარტი. (საკდესი). გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ დიპლომატიური მიმომხილველი კომენტარს უკეთებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუს და აღნიშნავს, რომ ეს ინტერვიუ სერიოზულ პერიოდს იწყებს საერთაშორისო ურთიერთობაში.

სხვა გაზეთებს შორის ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინტერვიუს კომენტირება მოასწრო მხოლოდ გაზეთმა „იორკშირ პოსტმა“.

### ამერიკის შეერთებული შტატები

**ნიუ-იორკი,** 14 მარტი. (საკდესი). ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემულ ინტერვიუს ცენტრალური ადგილი უჭირავს ამერიკის რადიოსადგურების გადაცემებში. ნიუ-იორკის რადიო აღნიშნავს, რომ თავის ინტერვიუში ი. ბ. სტალინმა ჩერჩილის მიერ ფულტონში ამას წინათ წარმოთქმული სიტყვა შეაფასა, როგორც საშიში აქტი, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ უთანხმოების თესლი დასთესოს მოკავშირე სახელმწიფოთა შორის და გააძნელოს მათი თანამშრომლობა. ხაზგასმით არის აღნიშნული აგრეთვე ინტერვიუს ის ადგილი, სადაც ამხანაგი ი. ბ. სტალინი აცხადებს, რომ „არსებითად ბ-ნი ჩერჩილი ახლა ომის გამჩაღებელთა პოზიციაზე დგას“.

სან-ფრანცისკოს რადიოს მიერ ღამით გადაცემულ ინტერვიუში გამოყოფილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის განცხადება იმის შესახებ, რომ ჩერჩილიც, ჰიტლერის მსგავსად, „ომის გაჩაღების საქმეს რასობრივი თეორიით იწყებს, ამტკიცებს რა, რომ მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერები წარმოადგენენ სრულფასოვან ერებს, რომლებიც მოწოდებული არიან გადასწყვიტონ მთელი მსოფლიოს ბედი“. სტალინმა,—ნათქვამია სან-ფრანცისკოს რადიოს გადაცემაში,—რწმენა გამოსთქვა, რომ ჩერჩილი და მისი მეგობრები დამარცხდებიან, მათ რომ მოახერხონ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი სამხედრო ლაშქრობის მოწყობა „აღმოსავლეთი ევროპის“ წინააღმდეგ.

გუშინ საღამოს გაზეთების უკანასკნელმა გამოცემებმა ცნობა ი. ბ. სტალინის ინტერვიუს შესახებ უზარმაზარი სათაურებით მოათავსეს.

### პოლონეთი

**ვარშავა,** 14 მარტი. (საკდესი). ყველა პოლონურმა ცენტრალურმა გაზეთმა, რომლებიც დღეს გამოვიდნენ, მთლიანად გამოაქვეყნეს პირველ გვერდზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის უ. ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემული ინტერვიუ. ინტერვიუ დაბეჭდილია უზარმაზარი სათაურებით.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) ორგანო—გაზეთი „რობოტნიკი“ ინტერვიუს შემდეგი სათაურებით აქვეყნებს: „სიძულვილმა პოლონეთსა და რუსეთს შორის ადგილი დაუთმო მეგობრობას. სტალინი უპასუხებს ჩერჩილს და აშკარავებს მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ მის განზრახვებს“.

### ბულგარეთი

**სოფია,** 14 მარტი. (საკდესი). დღეს სოფიის გაზეთებმა პირველ გვერდებზე გამოაქვეყნეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემული ინტერვიუს სრული ტექსტი. გაზეთებმა დაბეჭდეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის პორტრეტები.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავს: „ყოველი ლაშქრობა აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგ განწირულია დასაღუპავად. ჩერჩილის პოზიცია ომის პოზიციაა. საბჭოთა კავშირი იბრძვის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თავის მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის“.

### ფინეთი

**ჰელსინკი,** 14 მარტი. (საკდესი). ფინურ გაზეთებში მთავარი ადგილი უჭირავს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუს ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის შესახებ. ჰელსინკის გაზეთებმა ეს ინტერვიუ თვალსაჩინო ადგილას და დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს.

### ნორვეგია

**ოსლო,** 14 მარტი. (საკდესი). ნორვეგიის დედაქალაქის გაზეთების მთავარ ყურადღებას იპყრობს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის მიცემული ინტერვიუ ჩერჩილის სიტყვის შესახებ. ეს ინტერვიუ დღეს დილის გაზეთებმა დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს პირველ გვერდებზე. გაზეთები ათავსებენ ი. ბ. სტალინის დიდ პორტრეტს.

### შვეცია

**სტოკჰოლმი,** 14 მარტი. (საკდესი). შვეციის რადიომ ღამით გადასცა ცნობა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემულ ინტერვიუზე. დღეს ამ ინტერვიუს აქვეყნებს ყველა შვედური გაზეთი უზარმაზარი სათაურებით, რომლებშიც გამოყოფილია ინტერვიუს ტექსტის ცალკე ამონაწერები. არცერთ დილის გაზეთს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია ი. ბ. სტალინის ინტერვიუსათვის.

### დანია

**კოპენჰაგენი,** 14 მარტი. (საკდესი). დანიის დღევანდელ გაზეთებში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოქვეყნებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის უ. ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემული ინტერვიუს სრული ტექსტი. გაზეთებში მოთავსებულია ი. ბ. სტალინის პორტრეტები.

უზარმაზარ სათაურებში, რომლებითაც გამოქვეყნებულია ინტერვიუ, ხაზგასმით არის აღნიშნული ინტერვიუს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები.

### ლიბანი

**ბეირუთი,** 14 მარტი. (საკდესი). ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის მიცემულმა ინტერვიუმ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლიბანში.

დილის 7 საათზე ბეირუთის რადიოსადგურმა ფრანგულ და არაბულ ენებზე გადასცა ამ ინტერვიუს სრული ტექსტი, რომელიც შემდეგ განმეორებულ იქნა დილის 8 საათზე.

ცნობა ინტერვიუს შესახებ სწრაფად გავრცელდა მთელ ქალაქში. ლიბანელებმა დაიწყეს იმ გაზეთების ძებნა, რომლებშიც გამოქვეყნებულია სტალინის ინტერვიუ. გაზეთ „ტელეგრაფს“, რომელიც შუადღისას გამოდის და რომელმაც ინტერვიუს ტექსტი გამოაქვეყნა, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ. ამ გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი და მისი ინტერვიუს სრული ტექსტი შემდეგი სათაურებით: „სტალინი ჩერჩილის წინააღმდეგ გამოდის იმისათვის, რომ ჩერჩილი აწყობს მესამე მსოფლიო ომს“, „ჩერჩილს, როგორც ჰიტლერს, მსოფლიოზე ბატონობა სურს, მაგრამ მილიონობით ხალხები უარჰყოფენ მონობის დამყარების ყოველგვარ ცდას“, „სტალინი აბათილებს ჩერჩილის ბრალდებას საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტურ განზრახვებში“.

### ჩინეთი

**ჩუნცინი,** 14 მარტი. (საკდესი). გუშინ ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემული ინტერვიუს მოსკოვის რადიოთი გამოქვეყნების შემდეგ ჩუნცინის რადიოსადგურმა გადასცა ამ ინტერვიუს შინაარსი. ჩუნცინის რადიო ხაზგასმით აღნიშნავს ი. ბ. სტალინის განცხადების პირდაპირობასა და გულახდილობას.

### ინდოეთი

**დელი,** 14 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს დელის რადიოსადგურმა გადასცა ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემული ინტერვიუს დაწვრილებითი შინაარსი.

### საბერძნეთი

**ათენი,** 14 მარტი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის შესახებ მიცემული ინტერვიუ.

გაზეთი „ელეფთერია“ ინტერვიუს აქვეყნებს სათაურით: „სტალინი ახასიათებს ჩერჩილს, როგორც ომის გამჩაღებელს და ჰიტლერის რასობრივი თეორიის განმგრძობს“.

## ჩერჩილის სიტყვის მომავალი განხილვა თემთა პალატაში

**ლონდონი,** 13 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატის 26 ლეიბორისტმა წევრმა ახლო მომავალში განსახილველად შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის მიერ ფულტონში წარმოთქმული სიტყვა დახასიათებულია, როგორც სიტყვა, „ნავარაუდევი იმისათვის, რომ ზიანი მიაყენოს კარგ ურთიერთობას დიდ ბრიტანეთსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის“ და როგორც „მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის მტრული სიტყვა“.

12 მარტს საღამოს იმ რეზოლუციაზე დეპუტატთა ხელმოწერის რაოდენობამ, რომელშიც გაკრიტიკებულია ჩერჩილის სიტყვა, 102-ს მიაღწია.

## პაასიკივიმ კაბინეტის შედგენა მიანდო კეკონენს

**ჰელსინკი,** 14 მარტი. (საკდესი). როგორც ფინეთის რადიო იუწყება, დღეს პრეზიდენტმა პაასიკივიმ ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო კეკონენს, რომელსაც წინანდელ კაბინეტში იუსტიციის მინისტრის პოსტი ეჭირა.

## მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

### 1 მარტის დილის სხდომა

**ნიურნბერგი,** 1 მარტი. (საკდესი). დღეს დილის სხდომის დაწყებისას გამოვიდა მოიერიშეთა (ეგრეთწოდებული სა-ს) ორგანიზაციის დამცველი ადვოკატი ლეფლერი, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი სა-ს დამნაშავეობის თაობაზე. დამცველი, რომელიც დაუსაბუთებლად უარჰყოფდა ბრალდების მასალას, ცდილობდა წარმოედგინა სა-ს ორგანიზაცია როგორც უწყინარი რამ, რომელიც არავითარ დანაშაულობაში არ ურევია. მაგრამ რაკი ვერ შესძლო უარეყო ჰიტლერელი შეთქმულებისა და მათი ორგანიზაციებისა და თანამონაწილეების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი, ლეფლერმა სცადა გაემართლებინა ეს დანაშაულობანი განცხადებით იმის შესახებ, რომ „გერმანელი ხალხი პოლიტიკურად მოუმწიფებელი, გულმოწყალე ხალხია და ადვილად ურიგდება პოლიტიკურ დამახინჯებებს“.

თავისი სიტყვის დასასრულ ლეფლერი სთხოვს ტრიბუნალს არ სცნოს სა დანაშაულებრივ ორგანიზაციად.

ლეფლერის შემდეგ გამოვიდა სს-ის (ეგრეთწოდებული „მცველი რაზმების“) და სდ-ის (ეგრეთწოდებული „უშიშროების სამსახურის“) დამცველი ადვოკატი ბაბელი.

ბაბელმა სთქვა, რომ, დამცველთა აზრით, ორგანიზაციების დამნაშავეობის გამორკვევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ პროცესის დასასრულს. უფრო მეტიც, იგი, როგორც ყველა დამცველი, ფიქრობს, რომ ჰიტლერული ორგანიზაციების პროცესი უნდა გამოყოფილ იქნას მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესისაგან.

დამცველების ლეფლერისა და ბაბელის გამოსვლებით დამთავრდა ტრიბუნალის დილის სხდომა.

### 1 მარტის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი,** 1 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 1 მარტის საღამოს სხდომა მიეძღვნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ ამ პროცესზე გასასამართლებელი ექვსი ჰიტლერული ორგანიზაციის დანაშაულებრივად გამოცხადების იურიდიული საფუძვლების განხილვას. გენერალური შტაბისა და გერმანიის უმაღლესი სარდლობის დამცველი ლატერნზერი, იმეორებდა რა თავისი კოლეგების მოსაზრებებს, ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს შეუძლებელია დანაშაულებრივად გამოცხადდეს მთელი ორგანიზაცია, რამდენადაც ამ ორგანიზაციაში უდანაშაულო ადამიანებიც არიანო. შეეხო რა თავის მარწმუნებელ ორგანიზაციებს, ლატერნზერი აცხადებს, რომ ისინი იურიდიული თვალსაზრისით არ იყვნენ ორგანიზაციები და ამის გამო თითქოს არ არსებობს საფუძველი გამოცხადებულ იქნან დანაშაულებრივად.

ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი ჯექსონი უპასუხებს დამცველთა შენიშვნებს და აცხადებს, რომ დაცვის ძირითადი მოსაზრებანი მიმართული იყვნენ იმისაკენ, რომ დაემტკიცებინათ დანაშაულებრივი ორგანიზაციების მრავალი წევრის უდანაშაულობა. დამცველები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ბრალდებული ორგანიზაციების მრავალმა წევრმა არ იცოდა ამ ორგანიზაციების ბოროტი მიზნები. დაცვას სურს, რათა ბრალდებამ დაამტკიცოს, რომ ორგანიზაციის თვითეულმა წევრმა იცოდა მისი დანაშაულებრივი ხასიათი. ილაშქრებს რა ამის წინააღმდეგ, ჯექსონი ამბობს:

„ძალიან ძნელია მოისმინო მრავალი არგუმენტი, რომლებიც მოჰყავთ აქ იმისათვის, თითქოს უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივ ორგანიზაციებში მოჰყვნენ, უნდა დაისაჯონ სიკვდილით. მოკავშირეთა მიზანი რომ გერმანიაში სიკვდილის გამეფება ყოფილიყო, ჩვენ შეგვეძლო გავყოლოდით ამ გზას ისე, რომ არ გვეთქვა ეს აშკარად მთელი მსოფლიოს წინაშე. ჩვენ აქ დიდ გამარჯვებულ სახელმწიფოებს წარმოვადგენთ, რომელთაც განზრახვა არა აქვთ მოსპონ უდანაშაულო არსებანი. ალბათ, იმ პირებს, რომლებმაც განიცადეს ნაცისტური რეჟიმი, არ შეუძლიათ გაიგონ, თუ რამდენად ლმობიერი და შემბრალებელი ვართ ჩვენ ნაცისტური დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრთა მიმართ“.

ილაშქრებს რა დაცვის იმ მოსაზრებათა წინააღმდეგ, რომ ტრიბუნალმა უნდა განიხილოს მასალები ყველა ჰიტლერული ორგანიზაციისა და მათი ფილიალების მიმართ, ჯექსონი აცხადებს: „თვითეულ ამ ქვეგანაყოფსა თუ განყოფილებაზე სასამართლოს ძალიან დიდი დრო მოუნდებოდა. ჩვენ არ გვინდა ეს სასამართლო მუდმივ სასამართლოდ გადავაქციოთ. ჩვენ არ შეგვიძლია ცალკე გავარჩიოთ ნაცისტური ორგანიზაციების თვითეული წევრის საქმე. ჩვენ ვიხილავთ ჯგუფებისა და ორგანიზაციების დანაშაულებრივ ხასიათს. ბუნებრივია, თუ ორგანიზაცია ცნობილი იქნება დანაშაულებრივად, ისმება საკითხი მისი ცალკეული წევრების ბედის შესახებ. საოკუპაციო ხელისუფალნი თვითონვე გადასწყვეტენ საკითხს ამ ორგანიზაციების წევრთა მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ“.

ამის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ჯექსონს აძლევენ საპროცესო და სამართლის ხასიათის რამდენიმე შეკითხვას, რომლებზეც ის უპასუხებს, გამოსთქვამს რა, პირველ ყოვლისა, თავის პირად და ამერიკის ბრალმდებლების მოსაზრებას. ჯექსონის შემდეგ დაცვის საწინააღმდეგოდ გამოდის ინგლისელი ბრალმდებელი დევიდ მაქსუელ-ფაიფი. იგი ისევე, როგორც ჯექსონი, ხაზს უსვამს დაცვის მოსაზრებათა უსაფუძვლობას, რომელიც ცდილობს გაამართლოს ჰიტლერული დანაშაულებრივი ორგანიზაციები იმის დამოწმებით, რომ მათში ირიცხებოდნენ ცალკეული უდანაშაულო ადამიანები.

დაცვა სურვილს გამოსთქვამს გაიმეოროს და გააღრმაოს თავისი მოსაზრებანი. თავმჯდომარე განუმარტავს დამცველებს, რომ მათ შესაძლებლობა უნდა მისცენ ბრალდებას გამოსთქვას თავისი აზრი. ბრალდების საბჭოთა და ფრანგი წარმომადგენლები თავიანთ შენიშვნებს ხვალ გააკეთებენ.

ამით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

## საკდესი უარჰყოფს

ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობა იმის შესახებ, რომ ირანში სწარმოებს საბჭოთა ჯარის ნაწილების გადასვლა თავრიზით თეირანისაკენ და ირანის დასავლეთი საზღვრისაკენ.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობა სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს.

## ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ანატოლი იოსების-ძე ლავრენტიევი დაინიშნა სსრ კავშირის ელჩად იუგოსლავიაში.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ა. ი. ლავრენტიევი განთავისუფლებულია რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

## ამერიკელი პოდპოლკოვნიკის ბრძანება ანტისაბჭოთა პროპაგანდის აკრძალვის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 11 მარტი. (საკდესი). როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი სულცბერგერი ვიურცბურგიდან (გერმანია) იუწყება, ამერიკელმა პოდპოლკოვნიკმა, რომელსაც არ სურს, რომ მისი სახელი გამოქვეყნდეს, სასტიკი ბრძანება გასცა მთელი გარნიზონისა და ქალაქის მახლობელი რაიონებისადმი. ბრძანებაში იგი აფრთხილებს ამერიკის ჯარებს ანტისაბჭოთა პროპაგანდის გაწევის წინააღმდეგ. ინტერვიუში პოდპოლკოვნიკმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს დისციპლინარულ სამართალში მისცეს და ექვსი თვის პატიმრობით დასაჯოს ამ ბრძანების დამრღვევნი. ამ ბრძანებაში ნათქვამია:

„მე გავიგე, რომ სამოქალაქო მოსახლეობის მორალური მდგომარეობა ვიურცბურგსა და მის მახლობელ რაიონში დიდად ამაღლდა იმ სიტყვის შედეგად, რომელიც შეერთებულ შტატებში ბრიტანეთის ერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ წარმოსთქვა ჩვენი მოკავშირეების— რუსების შესახებ. საბჭოთა მთავრობა მოკავშირეა შეერთებული შტატებისა და თქვენი, რომლებიც ინდივიდუალურად და კოლექტიურად წარმოადგენთ ჩვენს მთავრობას. მე არ მოვითმენ, რომ ვინმე ავრცელებდეს შემბღალავ შენიშვნებს ჩვენი მოკავშირეების მისამართით გერმანელ მოსახლეობასთან ბაასში. მილიონობით რუსი ჯარისკაცი და სამოქალაქო მოსახლეობა დაიღუპა ჩვენი ტყავის გადასარჩენად. გახსოვდეთ ეს. თუ პროპაგანდა გაძულებთ რუსებს, შეჩერდით და დაფიქრდით. ისინი თქვენთვის დაიხოცნენ. თუ თქვენ გსურთ კვლავ იომოთ, მაშინ, აქეზებთ რა ფრონტლაინებს იმით, რომ რუსეთი გძულთ, თქვენ ნამდვილ ომის გზას ადგებით“.

სულცბერგერი აცხადებს, რომ ჩერჩილის სიტყვის გამოქვეყნების მომენტიდან გერმანული ანტისაბჭოთა პროპაგანდა მნიშვნელოვნად გაძლიერდა, განსაკუთრებით ბავარიაში.

## ჩეხოსლოვაკიის არმიის წარმომადგენელთა ყრილობა

**პრაღა,** 13 მარტი. (საკდესი). პრაღაში ახლახან დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების წარმომადგენელთა ყრილობა, რომლებიც მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ ბრძოლაში წითელი არმიისა და მოკავშირეთა ჯარების მხარეზე, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ყრილობის მუშაობაში, რომელსაც ექვსი ათასზე მეტი კაცი დაესწრო, მონაწილეობა მიიღეს დროებითი ეროვნული კრების თავმჯდომარემ დავიდმა, პრემიერ-მინისტრმა ფირლინგერმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალმა სვობოდამ, გენერალური შტაბის უფროსმა ბოჩეკმა, ჩეხოსლოვაკიის არმიის მრავალმა გენერალმა და ოფიცერმა და ეროვნული ფრონტის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ე. ბენეშმა, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილეებს მოუწოდა ჩაებნენ აქტიურ საქმიანობაში ჩეხოსლოვაკიის ახალი დემოკრატიული რესპუბლიკისა და ახალი დემოკრატიული არმიის ასაშენებლად.

ყრილობამ მიიღო დადგენილება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ორგანიზაციის პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა საზოგადოებასთან გაერთიანების შესახებ. გაერთიანება უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ამა წლის 31 დეკემბრისა.

ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს საპროგრამო განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ჩვენ ყოველნაირად მხარს დავუჭერთ ჩეხებისა და სლოვაკების ეროვნული ფრონტის მთავრობის პროგრამას, რომელიც მიღებულია გასული წლის 5 აპრილს კოშიცაში. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საბჭოთა კავშირთან ჩვენი კავშირი და მეგობრობა ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველი იყოს. სსრ კავშირთან კავშირი მიგვაჩნია ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების უაღრესად საიმედო გარანტიად. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ვიცავთ მეგობრულ ურთიერთობას დასავლეთის ქვეყნებთან და საჭიროდ ვთვლით მოკავშირე ხალხების ერთიანობის შენარჩუნებას.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ტექსტი მისალმებისა გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი.

მიღებულ იქნა აგრეთვე ტექსტები მისალმებისა ეტლის, ტრუმენის, გუენისა და მარშალ ტიტოსადმი.

## სემინარი

16 მარტს, საღამოს 8 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში (რუსთაველის პრ. № 33/35) შესდგება **პოლიტიკური ეკონომიის მუდმივმოქმედი სემინარის** მორიგი მეცადინეობა თემაზე: **„საზოგადოებრივი შრომის სოციალისტური ორგანიზაცია“**. შესავალ ლექციას წაიკითხავს დოცენტი **რაფიელ მელაძე.**

ეკონომისტ პროფესორ-ლექტორთა და მასწავლებელთა დასწრება სავალდებულოა.

## თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა**—15/III—„აბესალომ და ეთერი“, 16/III—„პატარა კახი“. **რუსთაველის სახელობის**—15 და 16/III—პრემიერა „ინსპექტორი მოვიდა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 15/III—„დავით აღმაშენებელი“, 16/III—„პირველი ცოლის მორჯულება“. **გრიბოედოვის სახელობის** — 15/III — „თვითმფრინავი დღეღამეს იგვიანებს“, 16/III—„მელიები“. **მუსიკალური კომედიის** — 15/III — „აზნაურები“, 16/III—„არშინ მალ-ალან“. **სანკულტურის** — 16/III—„უნიადაგონი“. **თოჯინების ქართული** —15/III—„მოგზაურობა უცნაურ ქვეყნებში“ (სამი წარმოდგენა), 16/III — „წიქარა“ (ოთხი წარმოდგენა). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** —15/III—„ზამთრის ზღაპარი“, 16/III—„ბაში აჩუკი“.

## კინოებში

**15 მარტს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და 26 კომისრის სახელობის**—„დავით გურამიშვილი“. **დამკვრელი**—„სილვა“. **სპარტაკი** —„შვეიკის ახალი მოგზაურობა“. **კომკავშირელი**—„უმზითვო“. **ლუქსემბურგის სახელობის**— „არშინ მალ-ალან“. **ოფიცერთა სახლი**—„ტყუპი“.

## ეგვიპტის ეროვნული პარტიის ლიდერის დეპეშა ამხანაგ სტალინის, ტრუმენის, ეტლისა და სპააკისადმი

**კაირო,** 4 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ალ-აჰრამმა“ დაბეჭდა ტექსტი დეპეშისა, რომელიც ეროვნული პარტიის ლიდერმა ჰაფიზ რამადან-ფაშამ გაუგზავნა ამხანაგ სტალინს, ტრუმენს, ეტლისა და სპააკს.

სამწუხარო ინციდენტების გამო,—ნათქვამია დეპეშაში,—და იმის გამო, რომ ეგვიპტელმა ხალხმა მტკიცედ გადასწყვიტა მიაღწიოს ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლისის ჯარების სრულ ევაკუაციას, ინგლისს სულ უფრო და უფრო უძნელდება იყოლიოს თავისი ჯარები ეგვიპტის ყოველ ნაწილში ეგვიპტელი ხალხის ნებასურვილის წინააღმდეგ. ეგვიპტის ვერც ერთი მთავრობა ვერ დარჩება ხელისუფლების სათავეში, თუ იგი თავის საქმიანობას საფუძვლად არ დაუდებს ბრძოლას ინგლისური ოკუპაციის წინააღმდეგ. თვითონ ინგლისის და მთელი მსოფლიოს ინტერესები მოითხოვენ ბოლო მოეღოს სიტუაციას, რომელიც ემუქრება მშვიდობას მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით აღმოსავლეთში. ეგვიპტის მოსახლეობას, რაც თითქმის ოც მილიონს აღწევს, ამჟამად ათჯერ მეტი ძალები მოეპოვება, ვიდრე ინგლისი ფიქრობს. დამოუკიდებლობის მისაღწევად ეგვიპტე მზად არის ყოველგვარი მსხვერპლისათვის. ჩვენ გთხოვთ მიიღოთ ზომები, რათა მსოფლიო იხსნათ შფოთისაგან, რაც ინგლისის ფატალური პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს.

## ბერნარდ შოუ და პრისტლი ჩერჩილის გამოსვლის შესახებ

**ლონდონი,** 6 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ცნობილმა დრამატურგმა ბერნარდ შოუმ სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ჩერჩილის მიერ ფულტონში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, 5 მარტს გამოსვლის დროს გაკეთებული წინადადება ინგლის-ამერიკის კავშირის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდა, „არსებითად ომის გამოცხადება იქნება რუსეთისათვის. ფაქტიურად ის, რასაც ჩერჩილი მოითხოვს, წარმოადგენს ძალთა თანასწორობის ძველი პოლიტიკის აღორძინებას — რუსეთის ბლოკისადმი დასავლეთის ბლოკის დაპირისპირებას, რაც მომავალი ომის მომასწავებელია“. ბერნარდ შოუს აზრით, ჩერჩილის სიტყვის ერთადერთი ღირსება ის არის, რომ მან გაგვახსენა, რომ „ჩვენს ქვეყანაში არის ბევრი ადამიანი, რომელთაც სურთ ომი რუსეთის წინააღმდეგ. კარგია, რომ ჩვენში არის მისტერ ჩერჩილის მსგავსი ვინმე, რომელსაც შეუძლია მუდამ მოგვაგონოს ეს. მან ნათლად აგვიწერა მდგომარეობა, და ბოლოსდაბოლოს მას შეუძლია უფრო მჭევრმეტყველურად აგვიწეროს იგი, ვიდრე სხვა რომელიმეს. მან ნათლად განაცხადა, რომ არ უკავია არავითარი ოფიციალური მდგომარეობა“. ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ რომ ჩერჩილის წინადადება მიიღოს, განაცხადა შოუმ, კატასტროფა მოხდება. „ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, ვინაიდან არ შეგვიძლია კვლავ ვიომოთ მომავალ წელს ან ხუთი წლის შემდეგ, მაგრამ ეს უნდა გვახსოვდეს“.

დრამატურგმა პრისტლიმ გააკეთა ანალოგიური განცხადება: „წინადადებას იძლევა რა ანტიკომინტერნული პაქტის ტიპის ინგლის-ამერიკის კავშირის შექმნის შესახებ, ჩერჩილი იწყებს ომის თესლის თესვას. ჩერჩილის სიტყვა იმ ადამიანის სიტყვა იყო, რომელსაც პატიოსანი და ძლიერი გონება აქვს, მაგრამ ისეთი გონება, რომელიც ვერ მისწვდომია ეკონომიურ ძალთა თამაშს თანამედროვე მსოფლიოში, გონება, რომელიც იმ მსოფლმხედველობის გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელსაც შეიძლება გავეცნოთ XVII საუკუნის ისტორიის წიგნებში. ატომური ბომბის საუკუნე მოითხოვს მის მიერ დაყენებულ პრობლემებში გაცილებით მეტ ჩაწვდომას“.

## ფერენც ნადის განცხადება

**ბუდაპეშტი,** 14 მარტი. (საკდესი). წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის ლიდერმა პრემიერ-მინისტრმა ფერენც ნადმა ამ პარტიის გენერალური მდივნის ბელა კოვაჩისა და პრემიერ-მინისტრთან მყოფი სტატს-მდივნის იშტვან ბალოგის თანდასწრებით მიიღო ბუდაპეშტისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. მათთან საუბარში ნადმა განაცხადა:

„შეთანხმება პარტიებს შორის მიღწეულია, შინაპოლიტიკური კრიზისი გადაჭრილია“.

კორესპონდენტთა კითხვებზე ფერენც ნადმა სთქვა, რომ მუშათა პარტიები და გლეხთა პარტია დასთანხმდნენ ყოველივე გააკეთონ მთავრობის განსამტკიცებლად. შემდეგ ნადმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ მანდატები ჩამოერთვას პარტიიდან გარიცხულ მემარჯვენე დეპუტატთა ჯგუფს. ისინი განაგრძობენ თავიანთ მოღვაწეობას პარლამენტში, როგორც უპარტიოები. ნადი შეეხო ადმინისტრატიული აპარატის შემცირებასა და წმენდას, აგრეთვე ნაციონალიზაციას და გაიმეორა საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე გაკეთებული თავისი განცხადება.

## პროტესტები ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ

**ნიუ-იორკი,** 12 მარტი. (საკდესი). როგორც ელაიდ ლეიბორ ნიუსის სააგენტო გადმოგვცემს, ბრაზილიის მშრომელთა გაერთიანებულმა მოძრაობამ საკონსტიტუციო ასამბლეას და ბრაზილიის მთავრობას დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც მოუწოდებს ბრაზილიის მთავრობას გასწყვიტოს ურთიერთობა ფრანკისტულ ესპანეთთან.

ამავე სააგენტოს ცნობით, ბრაზილიის დემოკრატიულმა პორტუგალიელთა ორგანიზაციებმა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც ისინი აღნიშნავენ პორტუგალიაში სალაზარის რეჟიმის ანტიდემოკრატიულ ხასიათს და მისდამი გულმოწყალე დამოკიდებულების საშიშროებას.

**ჩუნცინი,** 12 მარტი. (საკდესი). ჩინეთში ქალთა მოძრაობის ხელმძღვანელებმა საგარეო საქმეთა ფრანკისტ მინისტრს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც პროტესტს გამოსთქვამენ სამი ესპანელი პატრიოტი ქალისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის წინააღმდეგ. „ჩინელი ქალების სახელით,—ნათქვამია დეპეშაში,—ჩვენ მტკიცე პროტესტს გამოვთქვამთ ასეთი ანტიდემოკრატიული და სასტიკი ზომების წინააღმდეგ და მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ გაუქმდეს ეს გადაწყვეტილება და მსჯავრდადებულთ სრული თავისუფლება მიენიჭოთ“.

**სტოკჰოლმი,** 12 მარტი. (საკდესი). როგორც სტოკჰოლმის რადიო გადმოგვცემს, გეტებორგის ნავსადგურის მუშებმა უარი სთქვეს დატვირთონ ესპანეთიდან ჩამოსული ან იქ მიმავალი გემები. გეტებორგის ნავსადგურის მუშათა პროფკავშირმა შვეციის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირს მიმართა მოთხოვნით შესწყვიტოს ამ გემების გადმოტვირთვა და დატვირთვა. მუშები მოითხოვენ, რომ შვეციის მთავრობამ ფრიად ეფექტიანად შეუწყოს ხელი ფრანკოს რეჟიმის ლიკვიდაციას.

**ჰააგა,** 12 მარტი. (საკდესი). ამსტერდამში შესდგა პროფკავშირ „ეინჰეიდ ვაკ ცენტრალეს“ წარმომადგენელთა გაფართოებული კრება. კრების მონაწილეებმა მთავრობის სახელზე დეპეშა გაგზავნეს, რომელშიც ჰოლანდიის მუშათა მასების სახელით მტკიცე პროტესტს აცხადებენ ესპანეთში თავისუფლებისათვის მებრძოლთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მუშები, ნათქვამია დეპეშაში, დაჟინებით მოითხოვენ ჰოლანდიის მთავრობისაგან შესწყვიტოს ესპანეთთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა. ამავე დროს პროფკავშირი ჰოლანდიის ყველა ტრანსპორტის მუშასა და მეზღვაურს მოუწოდებს არ დაუშვან ესპანეთში გემების გაგზავნა. პროფკავშირმა ჰოლანდიის ყველა მუშათა ორგანიზაციას მიმართა მოწოდებით მხარი დაუჭირონ მის მოთხოვნას და ამით მოაახლოონ ფრანკოს რეჟიმის დასასრული.

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**15 მარტს, საღამოს 8 საათზე,** შესდგება დოცენტ **მელქაძის** ლექცია თემაზე: **„საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება მრავალეროვანი სახელმწიფოს ყველაზე უკეთესი ნიმუშია“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

## ლ ე ქ ც ი ა

**15 მარტს, საღამოს 6 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქ. № 2) შესდგება ამხ. **რუხაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„მეორე მსოფლიო ომის წარმოშობისა და ხასიათის შესახებ“.**

შესვლა თავისუფალია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ა. წ. 28 მარტს, დღის 2½ საათზე, სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ექიმი **ვერა პავლეს-ასული ჯიმშელეიშვილი** თემაზე: **„ფანტასტიური ფსევდოლოგიის კლინიკისა და მექანიზმების შესახებ“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ირ. მენთეშაშვილი** და დოცენტი **ნ. ვეშაპელი.**

2. სამკურნალო ფაკულტეტის ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტი **ილარიონ აპოლონის-ძე ყუბანეიშვილი** თემაზე: **„ქრონაქსიმეტრიული მონაცემები შიზოფრენიის ინსულინით მკურნალობის დროს“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **პ. ქავთარაძე** და რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი დოცენტი **ვ. გობრონიძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დილის 9-დან საღამოს 10 საათამდე

**დირექცია**

მოქალაქე **ალექსანდრე არჩილის-ძე ფერაძემ,** მცხოვრებმა კალინინის ქ. № 81, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლიუდმილა სერგოს-ასულ ფერაძესთან** განქორწინების შესახებ საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი გალუსტის-ძე ოგანოვმა,** მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მაყვალა ივანეს-ასულ გოგოშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება **სოფიო (სონა) პეტრეს-ასულ გობეჯიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16/III, 7 ს. გამოსვენება 17/III, ქორესის, 56.

ოჯახი იუწყება, რომ 17/III, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება **ივანე კონსტანტინეს-ძე წერეთლის** პანაშვიდი.

პავლე მაჩაიძის ოჯახი იუწყება **მუხრან (ბუხუნა) სერგოს-ძე ბოლქვაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან **არჩილ (დარჩო) მიხეილის-ძე ელიზბარაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16/III, 7 ს. გამოსვენება 17/III, 2 ს. კავშირის, 8.

ძმა ალექსანდრე ცოლ-შვილით იუწყება **გოგუცა გრიგოლის-ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოხი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00132